საერთო გაზეთი

№5 (644)
ოთხშაბათი
16 თებერვალი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ნაციონალები პოლიტიკური კი არა კრიმინალური ძალაა და ისინი უნდა გასამართლდნენ როგორც კრიმინალები

ნანა კაკაბაძე:

„ნაცები“ ჩემი ოფისიდან ცალ-ცალი კალოშით გავიდნენ და მთავრობაში მილიონერები გახდნენ

მამუკა არეშიძე:
„ამ კონფლიქტში, დიდი ალბათობით, რუსეთი გაიმარჯვებს და მერე, ჩვენს რეგიონში რა მოხდება, კაცმა არ იცის“

მზია ბაბოს ბიზნეს-მაფია



ამხანაგ მიხას თეზისები

ბოლოს წინა თესიზი გახლავთ ლაზიკას მშენებლობა. ეს არ ავიწყდება ამხანაგ მიხას, ეს მისი ოცნებაა ჯერ კიდევ მამათაგან და პაპათაგან

შე ელაბორო და ელახანგა მელია, ამიერიდან მეგრელებზე და სამეგრელოზე ხმის ამოღება არ გაბედო!

მთავარი მოწმე

პეტრე მამრაძე: ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებით მე გარკვეული პრეტენზიები მაქვს ედუარდ შევარდნაძესთან

„შავი სათვალე ეკეთა **ჩეკისტის ჩანაწერები**“

არჩილ ხომასურიძე – 80

რეპროდუქტოლოგია უპირველეს ყოვლისა!

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

კანონი არის კანონი და 5 კაცის ნებაზე კანონმდებლობას ყოველდღიურად ვერ შევცვლით

პოლიტიკურმა პარტიებმა როდესაც სიები ჩახსნეს, კიდევ ერთხელ შეურაცხყოფა მიაყენეს დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პრინციპს, რატომ ჩახსნეს სიები თუ მათი მიზანი არ იყო ხელისუფლების დამხობა, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, სოზარ სუბარმა განაცხადა.

„რაც შეეხება ჩახსნილი სიების აღდგენას, როდესაც სიები ჩახსნეს პოლიტიკურმა პარტიებმა კიდევ ერთხელ შეურაცხყოფა მიაყენეს დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პრინციპს. პირველ რიგში, შეურაცხყოფა მიაყენეს თავის კოლეგებს, რომლებიც მათთან ერთად შემოვიდნენ საპარლამენტო ბრძოლაში. დღეს, რომ გადაიფიქრეს, ბოდიში, ასე არ ხდება დემოკრატია. კანონი არის კანონი და ახლა ერთი კაცის თუ ხუთი კაცის ნებაზე კანონმდებლობას ყოველდღიურად ვერ შევცვლით“, - განაცხადა სოზარ სუბარმა.

„ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციური პარტიების მიერ გაუქმებული საარჩევნო სიების აღდგენას ითხოვს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით ფარმაცევტული სფეროს საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდება

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ, კომიტეტის წევრებთან ერთად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის მინისტრთან და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირებთან შეხვედრა გამართა, სადაც ფარმაცევტული სფეროს საკანონმდებლო რეფორმის ძირითადი პრინციპები განიხილეს, - ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე ფარმაცევტული სფეროს საკანონმდებლო რეფორმის შესახებ ისაუბრეს, რომლის ფარგლებში მუშავდება „სამკურნალო საშუალებების შესახებ” კანონპროექტი და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტები.

„დღეს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული მედიკამენტების ხარისხი, უსაფრთხოება, ეფექტიანობა, არარაციონალური მოხმარება და ძირითადი (სასიცოცხლო) მედიკამენტების ხელმისაწვდომობა კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომაც, დღის წესრიგში დადგა ფარმაცევტულ სფეროში რეფორმის განხორციელება და ახალი კანონმდებლობის შექმნა. რეფორმის მიზანია ქვეყანაში მივაღწიოთ მაღალი ხარისხის, უსაფრთხო და ეფექტიანი სამკურნალო საშუალებების მიმოქცევას, სამკურნალო საშუალებების რაციონალურ მოხმარებას და ფარმაცევტული დანახარჯის შეკავებას, ძირითად სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის სახელმწიფო უზრუნველყოფას“, - განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

როგორც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ფარმაცევტული რეფორმის მიზანია ქვეყანაში მაღალი ხარისხის, უსაფრთხო და ეფექტიანი სამკურნალო საშუალებების რაციონალური გამოყენების და ხელმისაწვდომობის სახელმწიფო უზრუნველყოფისთვის სამართლებრივი საფუძველის შექმნა.

საკანონმდებლო პაკეტის განხილვა პარლამენტში უახლოეს პერიოდში დაიწყება.

ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკის ნაწილი ქალთა გაძლიერებაა

პარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკის ნაწილი არის ქალთა გაძლიერება და ჩვენი თანმიმდევრული ნაბიჯები, დაწყებული პარტიულ სიებში კვოტირებასთან დაკავშირებით გრძელდება უკვე პარტიის შიგნით სტრუქტურული ერთეულების გაძლიერებით, - განაცხადა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ნინო წილოსანმა.

„ამ ინიციატივის ფარგლებში დღეიდან ვიწყებთ რეგიონებში ჩვენი პარტიის ქალ წარმომადგენლებთან შეხვედრას. პარტიის გადაწყვეტილებით, ქალთა ორგანიზაციაში გაწევრიანდება პარტიის ყველა წევრი ქალი და შესაბამისად მათი აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანი იქნება ამ ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებაში“, - აღნიშნა წილოსანმა.

მგონია, რომ კვალი მიგვიყვანს იმ პირამდე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება „ნაცმოძრაობას“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე ფიქრობს, რომ ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე, გამოძიების კვალი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებულ პირამდე მივა.

„კონკრეტულმა მედიასაშუალებებმა დაიწყეს საუბარი ე.წ. ქოლცენტრების შესახებ, რომ არის ეჭვები, რომელთაც „ნაცმოძრაობის“ კონკრეტულ წარმომადგენლებამდე მივყავართ და რომლებიც, თავის მხრივ, დაკავშირებულნი არიან „ნაცმოძრაობის“ საკუთრებაში არსებულ ტელევიზიებთან. ოპოზიციის მხრიდან, ამაზე პასუხი არის ის, რომ უნდათ აქცენტების გადატანა „ნაცმოძრაობასთან“ დაკავშირებული პირიდან სხვა პირებზე. ეს ძალიან იაფფასიანი სპეკულაციაა. გამოძიება უნდა დაიწყოს და ალბათ, დაწყებულიცაა. მგონია, რომ კვალი მიგვიყვანს იმ პირამდე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება „ნაცმოძრაობას“, - აცხადებს ირაკლი კობახიძე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ექვსი წევრი დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა საქართველოში დააფუძნეს ექვსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელთა ბაზაზე მოაწყვეს ე.წ. ქოლცენტრი. ოპერატორებად უცხო ენის მცოდნე პირების დასაქმებით, დანაშაულებრივი ჯგუფის სამიზნეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეები წარმოადგენდნენ.

„ე.წ. ქოლცენტრის დანაშაულებრივი ფუნქციონირებისთვის შეიქმნა ათეულობით ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა მომხმარებლისგან თაღლითურად მოპოვებული თანხების განთავსებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების საბანკო ანგარიშებზე. ე.წ. ქოლცენტრის თანამშრომლები, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ცრუ სატელეფონო ნომრების გამოყენებით უკავშირდებოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, ეცნობოდნენ გამოგონილი სახელებით, მათი კომპანიის ადგილსამყოფლის შესახებ აწვდიდნენ ყალბ ინფორმაციას და სთავაზობდნენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტების და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით“, - განმარტავს პროკურატურა.

გვერდი მომზადებულია საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით

მ ა დ ლ ო ბ ა

ყველა პროფესია და პროფესიონალი დღეს უაღრესად დასაფასებელია, ექიმობა — განსაკუთრებით. ამ დღეებში, როცა კორონავირუსის დიაგნოზით კლინიკაში მოვხვდი, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რის გამოც უდიდეს მადლობას ვუხდი თბილისი ინფექციური საავადმყოფოს მედპერსონალს გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა განყოფილების გამგეს ქალბატონ **მარინა ენდელაძეს** და მკურნალ ექიმს ქალბატონ **მანანა ღლონტს**.

ჯანმრთელობას და წარმატებებს ვუსურვებ კლინიკის ყველა თანამშრომელს.

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი

ნაციონალები კრიმინალური ძალაა და ისინი უნდა გასამართლდნენ როგორც კრიმინალები

დასაწყისში „ნაცმოძრაობა“ ჩემი ოფისიდან ცალ-ცალი კალოშით გავიდა და მთავრობაში მილიონერები გახდნენ

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტს შეხვდით. ეროვნულ თანხმობაზე თუ იყო საუბარი და როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?

— კონკრეტულად, რა იგულისხმება ეროვნულ თანხმობაში, შერიგებაში, პრეზიდენტს არ განუმარტავს. ჩემთვის გაუგებარია: ვის უნდა შეეურიგდე. მე, გაბუტული არავისთან ვარ. თუ გარკვეულ ჯგუფებს შორის შეუთავსებლობაა, აქ, გაბუტვა არაფერ შუაშია. საჭიროა გაირკვეს: რის გამო ვერ ხერხდება კონკრეტულ ჯგუფებთან შეთანხმება, შერიგება თუ შეთავსება. პირადად, შეუთანხმებლობა შემდეგ საკითხზე მაქვს: ადამიანის უფლებებისა და ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა. ამ ჭრილობის შეხორცება სამართლიანობის აღდგენის გარეშე როგორ უნდა მოხდეს, ჩემთვის, აბსოლუტურად, გაუგებარია. თავად ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ უნდა გაიმართოს საჯარო შეხვედრები, მათ შორის, მოხდეს რეგიონებში, სოფლებში ჩასვლა და ხალხთან დალაპარაკება. მაგრამ რა უნდა თქვას იმ ხალხმა, ვისაც კრიმინალი თავად არ შეხებია, ვაპატიებთო?! ამიტომ, ჯერჯერობით, გაუგებარია ეს პროცესი საით მიდის. თუ მიმართულია იქეთკენ, რომ ვიცხოვროთ ეპოქაში, სადაც ღირსების შემლახავი მოპყრობა, წამება, ქონების ხელყოფა უნდა დასრულდეს, მაშინ ამისთვის სამართლიანობა უნდა აღდგეს. თუ სააკაშვილის ხელისუფლებას წარსულში მომხდარს ვაპატიებთ, მაშინ მომავალში რაც მოხდება, ისიც უნდა ვაპატიოთ, რაც საზოგადოების ინტერესებში სრულებით არ შედის. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა მკაფიოდ უნდა განმარტოს: რას გულისხმობს ეროვნულ შეთანხმებაში და რაში მივიღოთ მონაწილეობა. მე, „ნაციონალების“ გათეთრებაში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ, არამედ მაინტერესებს სამართლიანად ითქვას: რა იყო დანაშაული, რა — შეცდომა და ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი.

სწორად უნდა განვსაზღვროთ: სად არის და რას აკეთებს „ნაცმოძრაობა“. ვინმემ დამისახელოს ნაცების მიერ გადადგმული ერთი პოლიტიკური ნაბიჯი ან მითხრას: რომელი მათი ქმედება არ იყო კრიმინალი. დავიწყოთ, შევარდნაძის ეპოქიდან, როცა სააკაშვილი მის ოპოზიციაში გადავიდა და ნამდვილ კრიმინალად იქცა. იცით, რისთვის დაიჭირეს და აწამეს სულხან მოლაშვილი? მან ანუ, კონტროლის პალატამ იუსტიციის სამინისტროში შემოწმება ჩაატარა და მიხეილ სააკაშვილის მიერ გაფლანგული თანხები აღმოაჩინა, რომელიც ციხის რეფორმისთვის იყო გამოყოფილი. მასალები პარლამენტს გადასცა, საიდანაც შემდგომ გამოსაძიებლად პროკურატურაში უნდა გადაეგზავნათ. სულხანი ისე გარდაიცვალა, ვერ გაიგო: ეს საქმე პროკურატურას გადაეცა თუ არა. სააკაშვილმა როგორც კი გაიგო, რომ მისი კრიმინალური ქმედება — ბიუჯეტის ქურდობა გამოააშკარავდა, იმ დროიდან სულხან მოლაშვილს გადაემტერა და როგორც კი ხელისუფლების სათავეში მოვიდა მაშინვე დაიჭირა, წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობით დასაჯა. ამას პოლიტიკა ჰქვია?! სად, რომელ ქვეყანაში უწოდებენ ამას პოლიტიკას, მითხარით და ხმას აღარ ამოვიღებ?! ყველა ქვეყანაში ეს არის კრიმინალი. სააკაშვილმა თავისი მდგომარეობა, თანამდებობა გამოიყენა და ადამიანი სასტიკად აწამა. ნურც, 2003 წლის გადატრიალება დაგვავიწყდება. დღეს, როცა 90-იან წლებში ხელისუფლების დამხობაზე ვსაუბრობთ, განა, სააკაშვილმა იგივე არ გააკეთა! თუ 90-იან წლებში ეს დანაშაულად ითვლებოდა, 2003 წელს რატომ იყო დემოკრატიის აღორძინება? თუ ზოგადად, ხელისუფლების დამხობა ანტიკონსტიტუციური ქმედებაა, 2003 წელს როგორ იქცა კონსტიტუციურად?! მივყვეთ სხვა დანაშაულობებს: დაიჭირეს მოლაშვილი, მოახდინეს ძალაუფლების უზურპაცია, გააყალბეს არჩევნები და ძალაუფლება ხელში ისე აიღეს, გააუქმეს შევარდნაძის პერიოდში ჩატარებული არჩევნები, თანაც როგორ — პროპორციულის შედეგები გააუქმეს, ხოლო მაჟორიტარული ძალაში დატოვეს! ერთიდაიმავე არჩევნებში პროპორციული პატიოსნად ჩატარებულა და მაჟორიტარული გაყალბებულა! ასეთი რამ სადმე გაგიგიათ? ეს უკვე კრიმინალია. მერე, 2003 წლის არჩევნები უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს, არადა ეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა იყო. კრიმინალური მეთოდებით ძალაუფლება მოიპოვეს. დღეს, გვეუბნებიან: დავივიწყოთ რაც მოხდა, ჩვენ ხომ მხოლოდ შეცდომებს ვუშვებდითო. ციხეში ხალხი 300 ლარის ქურდობისთვის სასჯელს იხდის, ეს კრიმინალია და თავად მთელი ქვეყანა რომ გაძარცვეს და კონსტიტუცია თავზე დაიმხეს, შეცდომაა?! ხელისუფლებას მივმართავ: არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რასაც გამოძიება არ სჭირდება და ნაცებმა თავად დადეს, შეფასდეს — ყოველივე პოლიტიკაა თუ კრიმინალი. 2012 წლის შემდეგ უამრავი მტკიცებულებები გამოჩნდა ციხეებსა თუ სამეგრელოს ტყეებში ნაპოვნი, ეს კრიმინალი იყო თუ პოლიტიკა?! პოლიტიკაა ადამიანის საძინებლებში შევარდნა, ფარული თვალთვალი, მიყურადება, ადამიანების წამებით სიკვდილი, ღირსების შემლახავი მოპყრობა?! ქუჩებში ხალხის ჩაცხრილვა მაშინ, როცა მათ წინააღმდეგ გამოძიებებიც კი არ იყო დაწყებული და ისინი რაიმე დანაშაულში ეჭვმიტანილნიც არ იყვნენ, ნორმალურია?! დიახ, მათ პირდაპირ ქუჩებში ხვრეტდნენ. ესეც პოლიტიკაა?! რაც ახლა ჩამოვთვალე, განა, მარტო ეს საკმარისი არ არის, რომ „ნაციონალებს“ კრიმინალების სტატუსი მიეცეთ. ადამიანს ქონებას რომ ართმევ, შუაღამეზე თავზე ნოტარიუსს აყენებ და აიძულებ ქონება გადმოგიფორმოს, ამას რა ჰქვია — კრიმინალი თუ პოლიტიკა? ამას საბჭოთა პერიოდში გაკულაკება თუ ერქვა, ახლა პოლიტიკაა?! ამ კითხვებზე პასუხები ხომ უნდა მივიღოთ. ჩვენი ორგანიზაცია რეჟიმის შეფასებას ითხოვს. ეს გახლდათ კრიმინალური მმართველობა და მას სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. კრიმინალი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. ვიმეორებ: მტკიცებულებების მოძიებაც კი არ არის საჭირო, მათ ეს თავად დადეს. სააკაშვილი სასამართლოზე იძახის: ეს სკამი, მაგიდა, გისოსები, ჩაქუჩი ჩემი ნაყიდიაო. ბიუჯეტიდან ნაყიდ ნივთებს საკუთარ ჯიბიდან ნაყიდად თვლის. ჩემი გაფლანგული ფული 2/3 სანდრამ შეჭამაო. ხომ ხედავთ, მას ბიუჯეტი საკუთარი ჯიბე ჰგონია. ამიტომაც, აფინანსებდა სახელმწიფო ქონებიდან შვილის სწავლა-განათლებას. ბიუჯეტი საკუთარ ჯიბედ მიაჩნდა. ის არ იყო სახელმწიფოს მეთაური, არამედ ქურდი, ყაჩაღი, ბანდიტი, რომელიც ქვეყნის ქონებას დაეუფლა. მილიონების ქონება — გეპეის მეექვსე კორპუსი საკუთარ დედას აჩუქა. ეს ბებიამისის დატოვებული ქონებაა?! მამამისს ბალნეოლოგიური საავადმყოფო აჩუქა. მიშა ხელისუფლებაში კრიმინალური გზით მოვიდა და მმართველობაც ასეთივე გააგრძელა. აი, რას სჭირდება სწორი შეფასება და კვალიფიკაციის მიცემა და არა ძახილი: ნაცები პოლიტიკიდან უნდა განვდევნოთო. პოლიტიკოსები თუ არიან როგორ უნდა განდევნო, ბოლშევიკი ხომ არ ხარ. პოლიტიკოსი კი არ უნდა განდევნო, ციხეში უნდა ჩასვა და სასჯელი მოახდევინო.

მთელი „ნაცმოძრაობა“ ჩემი ოფისიდან ცალ-ცალი კალოშით გავიდა და მილიონერები გახდნენ. ტაქსის ფული მე რომ არ მიმეცა, სახლამდე ვერ მიდიოდნენ, დღეს მილიარდერები არიან. საიდან იშოვეს ამდენი ფული, ამით სახელმწიფო არ უნდა დაინტერედეს? ეს ხომ იმ ხალხის ჯიბიდან ამოცლილი ფულია, შუაღამეზე ქონების გადაფორმებებს რომ აიძულებდნენ. ამისთვის პასუხი არ უნდა აგონ? იმ პატიმრებთან რა სინდისით ვითანამშრომლო, რომლებიც 300 ლარის ქურდობისთვის ციხეში სხედან. რომელ პატიმარს აქვს იმის მემილიონედი დანაშაული ჩადენილი, რაც სააკაშვილს და მის გუნდს. ამ დროს პოლიტიკაში ნებივრობენ. სხვა, რა დაუშავეს ციხეში მყოფმა პატიმრებმა? რა სააკაშვილს მკვლელობები არ აქვს ჩადენილი, სხვისი ქონების ქურდობა, ბიუჯეტის ძარცვა, ყაჩაღობა თუ რა? მისი მმართველობის დროს სტრასბურგის სასამართლოს უპრეცედენტო გადაწყვეტილებებს იღებდა. მაგალითად, გირგვლიანის საქმე, სადაც ხელისუფლების სამივე შტოს, თავად, პრეზიდენტს პირდაპირი ინტერესი ჰქონდა მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო. ხელისუფლების სამივე შტოს რომ ეტყვიან: კრიმინალში ხარ ჩართულიო, მეტი რაღა მტკიცებულებაა საჭირო? პირველი რაც უნდა გაკეთდეს: ეს ხალხი პოლიტიკას უნდა ჩამოაშორო და მერე, გამოძიებები დაიწყოს და თითოეული დამნაშავე პასუხისგებაში მიეცეს. გიგი უგულავამ 50 მილიონი მოიპარა, ეს დაუმტკიცეს, მაგრამ რამდენი წელი მოიხადა? ნაკლებად მძიმე დანაშაულიც კი არ ითვალისწინებს იმ სასჯელს, რაც მას მიუსაჯეს. თუ ამ მასშტაბის ქურდმა გარეთ უნდა ისეირნოს და პოლიტიკაში იბოგინოს, მაშინ 50 ლარის ქურდი რატომ ზის ციხეში? ლოგიკა სად არის? ასე თუ გაგრძელდა, ხელისუფლება ბოლოს ისეთ მომხრეებსაც გადაიკიდებს, როგორიც მე ვარ. გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის და ა.შ. მკვლელები თავისუფლად დასეირნობენ და პოლიტიკაში გვაწონებენ თავს. ამაზე მეტი რა აქვთ ჩადენილი სხვა მკვლელებს, ვინც ციხეში სხედან? პატიმრებს განცდა გაუჩნდათ, რომ უდანაშაულონი არიან. ხედავენ, რომ ამდენი ყაჩაღი, მძარცველი, მკვლელი პარლამენტში ზის. ამ უკანასკნელთ არალეგალური ფონდები ჰქონდათ, რომელსაც ვერანაირი სახელმწიფო მექანიზმი ვერ აკონტროლებდა და პირდაპირ რეკეტი მიდიოდა. პროკურატურაც კრიმინალში მონაწილეობდა. ამ დროს, ამათ ციხეში უზით ვიღაც ქუჩის ბიჭი, რომელმაც პიროვნებას ქრთამი ათასი ლარი გადაახდევინა.

— არაერთი მტკიცებულება ჩამოთვალეთ, რის გამოც „ნაცმოძრაობა“ და მათი ბელადი უნდა გასამართლდეს. თუმცა, მუდმივად ვისმენთ, რომ მართლმსაჯულება არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, ბრალს ვერ ამტკიცებს.

— დიახ, უამრავი მტკიცებულება არსებობს, მაგრამ ამას საქმის სახე არ აქვს მიცემული. ბუტა ხომ არ წამოდგება თავის საქმეში მტკიცებულებების ჩასადებად ან ირინა ენუქიძე, თუ მოლაშვილი წამოხტეს საფლავიდან. ამას სახელმწიფო პოლიტიკა და კანონის უზენაესობა სჭირდება. ან ციხეები გახსნან, ყველა გამოუშვან და თქვან, რომ კრიმინალების დაჭერის თავი არ აქვთ ან შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღონ. სასჯელიც ადეკვატური უნდა იყოს. არ შეიძლება ათასი ლარის მოპარვისთვის რიგით მოქალაქეს ექვსი წელი მიუსაჯო და 50 მილიონისთვის უგულავას — 3. გიგი უგულავას სასამართლო პოლიტიკური იყოო — ამბობენ. დიახ ასეა, პოლიტიკური გადაწყვეტილე-

5 ბ3.

„ამ კონფლიქტში, დიდი ალბათობით, რუსეთი გაიმარჯვებს და მერე, ჩვენს რეგიონში რა მოხდება, კაცმა არ იცის“

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:

— ბატონო მამუკა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთი უკრაინაში ზამთრის ოლიმპიადის დასრულებამდე შეიჭრება. აშშ-მ თავის მოქალაქეებს უკრაინის დატოვებისკენ მოუწოდა. როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?

— ვფიქრობ, ეს რუსეთის, რეალური, გადაწყვეტილება არ გახლავთ, არამედ უფრო სიტუაციის დასამძიმებლად და პიარზეა აგებული. განსაკუთრებით, პიარის ნაწილია ომის დაწყების თარიღად 16 თებერვალზე პედალირება. ეს ინფორმაცია მგონია, რომ რუსეთისთვის უარყოფითი იმიჯის გასაზრდელად ვრცელდება. აქ, ომის დაწყება-არდაწყება არაფერ შუაშია. ომი, შეიძლება, ნებისმიერ დღეს დაიწყოს — ან მასშტაბური, ან ლოკალური, ან სულაც კონფლიქტის დონეზე, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, უბრალოდ სიტუაციის დაძაბვაა და მეტი არაფერი.

— რუსეთ-უკრაინის საკითხი სწორედ ამ ორ მოძმე ერს შორის ხომ არ უნდა გაირჩეს. უკრაინა ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფოა, მას, ადრე, კიევის რუსეთით ვიცნობდით. როგორ ფიქრობთ, რუსეთმა ომი თუ წამოიწყო ეს დაპყრობა იქნება თუ ტერიტორიების დაბრუნება?

— არა, ეს, აბსოლუტურად, არასწორი მიდგომაა. თუ ამ ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ რუსეთი უკრაინელებმა უნდა დაიბრუნონ. დიახ, საწყისი კიევის რუსეთი იყო, მაგრამ მერე, ორი-სამი საუკუნის განმავლობაში, მონღოლების, თათრების შემოსევამდე, პრაქტიკულად, ეს სახელმწიფო დაშლილი იყო და ცალ-ცალკე სამთავროებად გახლდათ ჩამოყალიბებული. მერე, ერთ-ერთი, ვგულისხმობ, მოსკოვის სამთავროს, მომძლავრდა და დანარჩენი რუსული მიწების ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აიღო, ერთ სამეფოში გააერთიანა. ეს მოხდა მე-14 საუკუნის ბოლოს, 1382 წლიდან, როდესაც ოქროს ურდოს დაცემა დაიწყო. ორი საუკუნის განმავლობაში, ეს, დაშლილი ტერიტორია იყო და ბევრს არაფერს წარმოადგენდა. ერთადერთი ქალაქი ნოვგოროდი გახლდათ ძლიერი, რადგან იგი ჩრდილოეთ-ევროპის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. პრაქტიკულად, იგი რესპუბლიკა იყო. ასე, რომ საკითხავია: ვინ, რა უნდა დაიბრუნოს. ნაციონალისტი უკრაინელი ისტორიკოსების აზრით: მოსკოვის სამთავრო აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაჯვარია, ხოლო ჩვენ ევროპელები ვართო. რუსები კი პირიქით თვლიან და შედეგად, დავა მრავალი წელია ასე გრძელდება. დღეს, გეო-პოლიტიკური ვითარება შეცვლილია, მსოფლიო პოლიტიკური სამართალი სხვა ფორმის და შინაარსის მატარებელია.

— რა არის რუსეთის გეგმა-მაქსიმუმი უკრაინასთან მიმართებაში?

— ღიად დეკლარირებული გეგმა, ცნობილია: უკრაინა ნატოს შემადგენლობაში არ უნდა შევიდეს. თუმცა, ყოველივეს თავის ნიუანსები ახლავს. მოსკოვი კიევისგან მინსკის შეთანხმების რეალიზაციას ითხოვს (რაზეც, სხვათა შორის, პოროშენკოს დროს უკრაინას ხელი აქვს მოწერილი), რადგან დონეცკი და ლუგანსკი, ამ ხელშეკრულების მიხედვით, უკრაინის იურისდიქციის ქვეშ უნდა დაბრუნდეს. მსგავსი მოთხოვნით, კიევი, საგარეო პოლიტიკაში, დონეცკის და ლუგანსკის ნებართვის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამს. ანუ, კიევმა ნატოში გაწევრიანება თუ მოინდომა, დონეცკს და ლუგანსკს უფლება აქვთ, ვეტო დაადონ. ეს გეგმა, ყველასთვის, ცხადია. რაც შეეხება არადეკლარირებულ გეგმას, ეს შემდეგია: რუსეთისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურ შემადგენელს — საბჭოთა კავშირის აღდგენას, ოღონდ, სხვა ფორმით, დსთ-ს უფრო სხვა რანგით ჩამოყალიბებას.

— ვის აწყობს, დღეს, ომი უკრაინაში — რუსეთს თუ აშშ-ს?

— ასე, მარტივი როდია. სხვადასხვა დონით და ხარისხით, ომი, ყველა მხარეს აწყობს — დასავლეთსაც, რუსეთსაც და თქვენ, წარმოიდგინეთ უკრაინის გარკვეულ პოლიტიკურ ძალებსაც. ამაზე, ზოგიერთი ევროპული სტრუქტურის წარმომადგენლებიც ბევრს ლაპარაკობენ. შეიძლება, კონკრეტულ პიროვნებას ეს ომი არ უნდა, მაგრამ არსებობენ ძალები, რომლებიც თვლიან: რუსეთსა და უკრაინას შორის ლოკალური ომი, მათ დამატებით პოლიტიკურ არგუმენტებს მისცემდა, ასევე, გარკვეულ ეკონომიკურ დივიდენდებსაც. დიახ, მოსკოვი სანქციების რეჟიმშია. კრემლი კი ამბობს, რომ ეს სანქციები, პირიქით, რუსული ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელია, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ არის იმიტომ, რომ რუსული ეკონომიკა დასავლურ ტექნოლოგიებზე ბევრად იყო დამოკიდებული. ახლა, რუსეთს ფორსირება უხდება, რათა ეს ტექნოლოგიური პროცესი საკუთარი საშუალებებით ჩაანაცვლოს. ყოველივე ამის გაკეთება, მოკლე დროში, მარტივი არ არის. მაგალითად, თვითმფრინავის მშენებლობა, რისთვისაც საჭიროა ნაწილები, რომელსაც რუსეთი დასავლეთისგან იღებდა. პრაქტიკულად, ეს, სანქციების ქვეშ მოექცა. აქედან გამომდინარე, თვითმფრინავების მშენებლობის პროცესი, გაჩერებულია. კაცმა არ იცის, როდის ჩამოაყალიბებენ თავად საწარმოს. ასეთ დღეში ბევრი სხვა დარგია. იგივე, მაგალითად, გაზის მოპოვება — ბურღები, რაც ამ საქმისთვის არის საჭირო, ასევე, დასავლეთიდან შემოდიოდა. მოსკოვში და სხვაგანაც კარგად ესმით, რომ ხანგრძლივი ომის შემთხვევაში რუსეთის ეკონომიკას ისეთი ზიანი მიადგება, წელში ვეღარ გაიმართება. სრულმასშტაბიანი თანამედროვე ომი დღეში, საშუალოდ, 10 მილიონი ჯდება. წარმოიდგინეთ, რა შედეგები დადგება. უკრაინა რომ დაემხობა, განადგურდება, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ სიკეთეს არც რუსეთს მოუტანს. ამიტომ, ვამბობ: ეს ომი ბევრს აწყობს. მაგალითად, ჩინეთისთვის ომით დასუსტებული რუსეთი კიდევ უფრო საინტერესოა. იმიტომ, რომ დღეს ჩინეთი ცენტრალური აზიისთვის იბრძვის. ჩინეთს ცენტრალურ აზიაში თავისი გავლენების განსამტკიცებლად ორი მოწინააღმდეგე უშლის ხელს — ეს არის რუსეთი და პოლიტიკური ისლამი. რაც შეეხება დასავლეთის აქტიურობას ცენტრალურ აზიაში, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, ეს ჩინეთისთვის ხელისშემშლელი ვერ იქნება. პოლიტიკური ისლამის მიმდევარი ქვეყნებისთვის და ორგანიზაციებისთვის რუსეთსა და უკრაინას შორის ომი, ახლა, უბრალოდ, წამალია. ამგვარად, მათ, ცენტრალურ აზიაში და კავკასიაში ხელ-ფეხი გაეხსნებათ. არავის უნდა საქმე ბირთვულ ომამდე მივიდეს. ლოკალური ომი კი მათთვის საუკეთესო გამოსავალია, რომელიც გარკვეულ ხანს გასტანს. რაც შეეხება საქართველოს, ეს ომი, ჩვენთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია. ჯერ ერთი, ეს ნიშნავს, რომ საბრძოლო მოქმედებები შავი ზღვის აკვატორიაზე იქნება და მეორეც, ამ ომში დიდი ალბათობით რუსეთი გაიმარჯვებს და მერე, ჩვენს რეგიონში რა მოხდება, კაცმა არ იცის.

— ანუ, შემდეგი შეიძლება საქართველო იყოს?

— რუსეთის აქ, შემოჭრას არ ვვარაუდობ. თუმცა, უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ: რა ტიპის ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი.

— სანქციები ახსენეთ, ამით, თავად დასავლეთიც ხომ ზარალდება?

— რასაკვირველია ასეა, მაგრამ სასწორის მხარეს დევს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი შედეგი, ვიდრე რიგი ეკონომიკური ტიპის ზარალი. აქ, საუბარია პოლიტიკურ გამარჯვებაზე. დასავლეთი კი ზარალდება, მაგრამ ეს ეხება არა სახელმწიფოს, არამედ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. თორემ, სახელმწიფოში შემოსავალი როგორც შედიოდა, ისევ ისე გრძელდება. საერთოდ, თანამედროვე პოლიტიკას, დიდწილად, ენერგეტიკული პოლიტიკა განაპირობებს. დასავლეთის პოლიტიკურ ცენტრებში თვლიან, რომ რუსეთი მათთან მიმართებით გათავხედდა, ვგულისხმობ, ენერგეტიკულ შანტაჟს. ამიტომ, თვლიან, რომ რუსეთი უნდა დაისაჯოს.

— რუსის ტანკი, თითქმის, 40 კილომეტრში დგას. ამ დროს ოპოზიცია მასთან დაპირისპირებისკენ გვაქეზებს, რათა, მერე, თავად მღვრიე წყალში თევზი ადვილად დაიჭირონ.

— ამ ხალხისგან ვერანაირ შენიშვნას ვერ მივიღებ, რადგან ყველამ ვიცით, ომის დროს რას აკეთებდნენ. ადამიანი, რომელიც მოსკოვიდან ივანოვთან ერთად თვითმფრინავით ჩამოვიდა, ჩვენ შენიშვნას არ უნდა გვაძლევდეს. საბოლოო ჯამში, რასაც ოპოზიცია აკეთებს, ეს დეკორაცია, ფასადია. რაც შეეხება რეზოლუციას, მასში რუსეთი ნახსენები იქნებოდა თუ არა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. არ მესმის, რატომ უნდა მისცე მტერს ხელთ დამატებითი არგუმენტი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინას მხარი დავუჭიროთ. როცა ოპოზიცია რეზოლუციის გამო მსოფლიო სკანდალს ტეხს, ეს კიდევ ერთხელ ქართული პოლიტიკური ელიტის არასიჯანსაღეზე მიუთითებს. მიჩნდება ეჭვი, რომ სხვისი დაკვეთით მოქმედებენ. დამკვეთი შეიძლება რუსეთი იყოს, მაგრამ დადასტურებით ვერაფერს ვიტყვი. აქვე, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება, ამ საკითხზე, ზომიერი და სწორია. მახსენდება, 90-იანი წლების დასაწყისი თუ როგორ ზომიერად იქცეოდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. ეს ხალხი აქ, ჩამოდიოდა და ჩვენს შეცდომებზე სწავლობდა. დამამახსოვრდა ერთი ბალტიისპირელი პოლიტიკოსის სიტყვები: ქართველებმა თქვენი ქვეყნისგან ლაბორატორია შექმენით, სადაც საკუთარ თავზე ცდებს ატარებდით, ჩვენ კი თქვენს შეცდომებზე ვსწავლობდითო. ასეც მოხდა. მაგალითად, უკრაინელებმა ჩვენი ყველა შეცდომა ერთმანეთის მიყოლებით გაიმეორეს. არადა, შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, გარკვეული სემინარების ჩატარება გვთხოვეს. ჩვენ, ეს გავაკეთეთ, მაგრამ მათ ერთ ყურში შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს. მერე, მათ მიხეილ სააკაშვილს დაუჯერეს, რომელმაც კონფრონტაციის ხარისხი უფრო გაზარდა.

— სააკაშვილის მმართველობისას რუსეთმა საკმაოდ იხეირა. ოპოზიცია მაინც არ ისვენებს: სააკაშვილი პუტინის ტყვეაო. არადა, მიშამ რუსეთთან ისეთ ჩიხში მოგვაქცია, რომ გამოსავალიც აღარ დარჩა.

— დიახ. საზოგადოებაზე სააკაშვილის განცხადება: პუტინის ტყვე ვარო, მოქმედებს. ამის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობას სჯერა, რომელმაც არ იცის: რა ხდებოდა მაშინ და არც არავინ ასწავლის. სააკაშვილმა გადასარევად იცის პიარის ლოგიკა და კარგა-

ნაციონალები აუცილებლად უნდა გასამართლდნენ

3 გვ.

ბა იყო, როცა მას 50 მილიონის ქურდობისთვის სამი წელი მიუსაჯეს.

— ხალხს არ აინტერესებს რით შემოიპარა სააკაშვილი საქართველოში, არამედ პასუხი აგოს ჩადენილ დანაშაულობებზე. ომის თემაზე როცა მიდგება საკითხი, ამბობენ: აქ რუსეთია ჩარეული და ასე ადვილი არ არის ამ საქმის გამოძიებაო.

— დიახ, ამ უმნიშვნელოვანეს საქმეზე გამოძიება საერთოდ არ მიდის. ორი მუხლია, რაც ტერიტორიების გასხვისების ქვემდებარეა და უვადო პატიმრობას ითვალისწინებს, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს. რას უნდა ველოდოთ, როცა ბაჩო ახალაია წიწაკის



სროლის გამო გაასამართლეს. რა ხდება ქვეყანაში, გაუგებარია. სააკაშვილს 9 მილიონის გაფლანგვას ედავებიან. ეს სასაცილოც აღარ არის. მხოლოდ ის ფაქტები გამოიძიონ თავისი ოჯახის წევრებისთვის ერთ ლარად რა ქონებებიც აქვს გადაცემული და დაინახავთ, რომ თანხა 9 მილიონს ბევრად გადააჭარბებს. სხვა დანაშაულობებზე აღარაფერს ვამბობ. აქ ხომ პირდაპირ ჩანს თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვა. ამას რატომ არ იძიებენ? რატომ აჩუქა გიული ალასანიას აღნიშნული ქონება და არა ქიბროწაშვილს? რა უჯდება სახელმწიფოს დედამისის და მამამისის ბიზნესი? დედამისისთვის ნახევარი მილიონი ჰექტარი მიწა აქვს ნაჩუქარი და ესენი 9 მილიონზე ედავებიან! აგერ, რუსეთს აჩუქა მიწები და ვითომც არაფერი. ჩვენ, ვიცით სანაცვლოდ სააკაშვილმა რა მიიღო? ასევე, დავით გარეჯის მიწები ჩამოარიგა. ისტორიულად, ეს ტერიტორია სადავო არავისთვის ყოფილა. ამ დროს, ნაძირალა მელაშვილმა და ილიჩოვამ საწინააღმდეგოს მტკიცება დაიწყეს. სად მონახა სააკაშვილმა ილიჩოვა ქართული მიწების დასარიგებლად? რის სანაცვლოდ გააკეთა ყოველივე, არ უნდა გამოვიძიოთ? ეს იყო პოლიტიკა? ამაზე დიდი კრიმინალი, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, აღა-მაჰმად-ხანს არ მოჰფიქრებია აზრად. გარდა ამისა, სტერილიზაციის კანონი მიიღო და ციხეში პატიმრებს ცოლებთან შეხვედრები აუკრძალა. ოჯახები გაანადგურა, ეს ერის გენოციდი არ იყო? ასეთი კანონები საბჭოთა პერიოდშიც არ ყოფილა.

— ამის მიუხედავად, სააკაშვილი იქეთ გამოაცხადეს დაზარალებულად.

— თურმე, ურჩ პატიმარს იძულებით საპატიმროში რომ შეიყვან, ეს წამება ყოფილა. აბა, კანონი რისთვის არსებობს. თუ პატიმარი არ გემორჩილება, ადეკვატური ძალა უნდა გამოიყენო. სხვა როგორ უნდა შეეყვანათ, შოლტი უნდა ერტყათ? დიახ, სხვა როგორ უნდა შეეყვანათ საპატიმროში თავხედი კრიმინალი, რომელიც კანონს არ ემორჩილება, შეელოცათ? 200 კილოიან საკაშვილს ერთი კაცი ვერ მოერეოდა, ამიტომ ეს ნაძირალა ოთხმა კაცმა საკანში ხელში აყვანილი შეაბრძანა. თავად როგორ ექცეოდა პატიმრებს? ვინმე წინააღმდეგობას კი არა, საკანში ჩურჩულს ვერ ბედავდა და ეს როგორ ღრიალებდა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან. ვის უყვიროდა ეს არარაობა, ქურდი, მამაძაღლი.

— ასე თუ გაგრძელდა, სააკაშვილი მალე ბრალს რაშიც უყენებენ იმ საქმეებშიც „უდანაშაულო“ აღმოჩნდება. საიდუმლო შეხვედრებზე დავდიოდი და ქვეყნის საქმეს ვაგვარებდი, განა მართლა უგულავას გახდომაზე დაიხარჯა ფულიო.

— ამაზე პასუხი ინტერნეტში ხომ გამოუქვეყნეს: აზერბაიჯანის პრეზიდენტი ინგლისში საერთოდ არ ჩასულა. მაგის სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს. წმინდანი ვარო რომ თქვას, უნდა დავიჯეროთ. ყველა კრიმინალი ცდილობს სასჯელს თავი დააღწიოს. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს ბრალის დამტკიცება. ვიღაცამ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა და სახელმწიფომ ვერ უნდა შეძლოს მტკიცებულება სახეზე ააფაროს. კაცს ვერ გაურკვევია: რომელი ქვეყნის მოქალაქეა და რომელი ქვეყნის პოლიტიკას აწარმოებს — ხან უკრაინულად მღერის, დროშებს წაღმა-უკუღმა ატრიალებს და ხან საქართველოს პოლიტიკას განაგებს. საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა, მაგრამ ეს ნაძირალა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას თავს არ ანებებს.

— ხომ არ სჯობს სააკაშვილის მიერ რეპრესირებული საზოგადოება გააქტიურდეს?

— რა ქნას საზოგადოებამ: ციხე ააშენოს და ათასობით კრიმინალი „ნაციონალი“ იქ, ჩასვას? გეთანხმებით, ეს ადამიანები უნდა გააქტიურდნენ, მაგრამ მათ ხომ თავის დროზე ბევრი იბრძოლეს და ციხეებშიც ამიტომ აღმოჩდნენ. შემდეგ კვლავ იბრძოლეს, რათა ძალაუფლება „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ. ამ უკანასკნელს კი სამართლიანობა უნდა აღედგინა და ის დამნაშავეები პასუხიგებაში მიეცა, ვის გამოც ამ ხალხმა რეპრესიები გამოიარა. არ მინდა, ახლა, იმაზე ვილაპარაკო რა დამართა სააკაშვილის რეჟიმმა ამ ადამიანებს ციხეში. განა, მათ — ღირსებაყრილ ადამიანებს კიდევ შერჩათ ენერგია და ბრძოლისუნარიანობა? თანაც, აქტიურობა რომ დაიწყონ, არავინ იცის ხვალ მათ ეს ჯალათები რით დააშინებენ. ამიტომ, გამოსავალი ერთია: ხელისუფლებამ ისეთი ნაბიჯები გადადგას, რაც საზოგადოების ინტერესშია და კანონს ეფუძნება. გარედან კარნახის მოსმენას თავი დაანებონ. თუ ამის გაკეთება არ შეუძლიათ, მაშინ ხელისუფლებიდან წავიდნენ და ასპარეზი სხვას დაუთმონ. რაც მთელმა საქართველომ იცის განა, იგივეს საქმის კურსში ხელისუფლება არ არის?! მას ხომ ყველა ინფორმაციაზე წვდომა აქვს. მაშინ ამ ცირკს ბოლო მოუღონ. ვიმეორებ: თუ ამის გაკეთება არ შეუძლია, მაშინ წავიდეს. მე რომ არ შემიძლია, ბალეტს იმიტომ არ ვცეკვავ, თორემ ძალიან მომწონს. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დაც იყენებს. სააკაშვილის მთავრობის დროს, რუსეთს რაც უნდოდა, ყველაფერი მისცეს. პრაქტიკულად, რუსებმა დსთ-ს შექმნის მერე, საქართველოთი პოსტსაბჭოთა სივრცის აღდგენა დაიწყეს. ეს 2008 წელს მოხდა. ჩვენ, მათ, არამხოლოდ ტერიტორიები, არამედ ეკონომიკური, ენერგეტიკული და სხვა ტიპის სიმძლავრეები გადავეცით. ეს მაშინდელმა ხელისუფლებამ გააკეთა. ძალიან კარგად მახსოვს, პარლამენტში ვანო მერაბიშვილის გამოსვლა. მან თქვა: ფულს სუნი არ აქვს, ეკონომიკა, შესაძლებელია, რუსული კომპანიების იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი პოლიტიკური ორიენტირები შეიცვალაო. აბსოლუტური იდიოტიზმია, თუმცა, ვიღაცამ დაუჯერა. დიახ, 14 რუსულ კომპანიას მთელი ენერგეტიკული სიმძლავრეები გადასცეს. ესენი, ყველა, სახელმწიფო კომპანიები იყო ერთის გარდა, რომელსაც „თბილ-წყალი“ გადაეცა. ისიც, ლამის, ჭიპით კრემლზე იყო მიბმული. პრაქტიკულად, ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები, რომლებიც ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, კრემლს ჩააბარეს. ეს სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა და ახლა გვეუბნება: პუტინის ტყვე ვარო. რა ვუწოდო ყოველივეს, სიტყვებიც არ მყოფნის.

— სააკაშვილმა ისიც ბრძანა: ტაილანდში მასაჟს ტყუილად კი არ ვიკეთებდი, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის არაღიარების პოლიტიკას ვაწარმოებდიო.

— ენას ძვალი არ აქვს. სამწუხაროდ, მისი ნათქვამი ახალ თაობაზე ჭრის იმიტომ, რომ საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკა არ გვაქვს. აქედან გამომდინარე, სააკაშვილისნაირი პიროვნებების სჯერათ. გახსოვთ, ქალბატონი, რომელიც სააკაშვილმა აქ ჩამოიყვანა და სკოლები გაახსნევინა?! ახლა, იგი ფლორიდის შტატის გუბერნატორის აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელია. ამ ქალის „ნამუშევარს“ ჩვენ, კიდევ დიდხანს ვიწვნევთ. მან, ზუგდიდში, თბილისში, მცხეთაში სკოლები გახსნა, სადაც უამრავი ახალგაზრდა მოწამლა. 800-მდე მოსწავლე მარტო ერთ წელს გამოუშვა. სწორედ,

ეს ახალგაზრდები არიან დღეს ამ სენის მატარებელნი. ხელისუფლება ახალგაზრდული პოლიტიკის გააქტიურების თვალსაზრისით, არაფერს აკეთებს, რათა მათ თვალი მაინც აუხილოს, თუ რა ტიპის მოვლენებთან გვქონდა და გვაქვს საქმე.

— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?

— ყველაზე მთავარი რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, ეს არის იდეოლოგიური ნარატივის შექმნა. უნდა გავერკვეთ: რა ქვეყანაა საქართველო, რანი ვართ, რა გვინდა მსოფლიოსგან და მას რას ვაძლევთ, როგორი იქნება ჩვენი ხვალინდელი დღე, რა გზით მივდივართ და ა.შ. გაიძახიან: საქართველო ჰაბი უნდა გახდესო, მაგრამ რისი და როგორი?! თუ მხოლოდ ეკონომიკური ჰაბი უნდა იყოს, ეს უნდა ახსნა, თუ ჰუმანიტარული — ესეც უნდა თქვა. რას ემყარება ყოველივე, იმას ხომ არა, რომ ჩვენ კავკასიის ცენტრი ვიყავით და საქართველო ძლიერი სწორედ მაშინ იყო. ეს ახალგაზრდობას ხომ უნდა აუხსნა, სწორი მიმართულება მისცე. გარდა ამისა, თუ სამშვიდობო პლატფორმა გინდა იყოს, თუნდაც სამეზობლოში, მაშინ ახსენი: რატომ გაქვს ამის უფლება. ასევე, საქართველოში, აბსოლუტურად, დეგრადირებულია პატრიოტიზმის, არმიის ცნება და ა.შ. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს.

— ბატონო მამუკა, ეს თემები, სამწუხაროდ, მედიაში აქტუალური არ არის. სამაგიეროდ, სააკაშვილი საცაა ციხეში რევოლუციურ კომიტეტს ჩამოაყალიბებს. ასე, როდემდე უნდა გაგრძელდეს?

— სააკაშვილის თემის გარდა, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მედიაში მთავარი თემა ასევე, არის კრიმინალის ის ნაწილი, რაც ოჯახურ ძალადობას გულისხმობს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მედია ამ თემას ესოდენ დიდ ყურადღებას ტყუილად როდი უთმობს. იგი, სკანდალის ეფექტს ქმნის. მეორე მხრივ, ხომ ვხედავთ საზოგადოებაში რა მდგომარეობაა — ყოველგვარი ტრადიციული ფასეულობა, აბსოლუტურად, დეგრადირებულია. ეს იმიტომ, რომ შესაბამისი გზავნილები აღარც საზოგადოების მხრიდან ისმის და აღარც ხელისუფლების. ფასეულობებს დაცვა სჭირდება. თუ ფასეულობების, ტრადიციების მიმართ პატივისცემა არ იქნა, ვგულისხმობ, სამშობლოსადმი დამოკიდებულების ტრადიციას, მაშინ ჩვენ როგორც სახელმწიფო არ შევდგებით.

— და სანამ სააკაშვილს 16 კი არა 6 წელი აქვს მისჯილი და რიგ დანაშაულობებზე ბრალს ვერ ვუმტკიცებთ, ვერც მანამდე შევდგებით სახელმწიფოდ.

— რასაკვირველია, ქართული მართლმსაჯულების „უკბილობა“, ჩემთვის, აბსოლუტურად, მიუღებელი და გაუმართლებელია. იცი რაშია საქმე? — საქართველოში 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, ძლიერებს ამა ქვეყნისანებს, ყველაფერი შერჩათ. აქ, ასეთი მიდგომაა: ის რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხალხს. ეს პრინციპი დღემდე მუშაობს. თუ ქვეყანაში გავლენები გაქვს, მაშინ შენთვის კანონი მეორადია. სააკაშვილი პირდაპირ ამბობს: ჩემთვის ეს შეიძლებოდაო, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის კი — არა.

— ბატონო მამუკა, ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების მერე, არაფერი შეცვლილა —რუსეთს მაშინაც ოკუპანტს ვეძახდით, ნატოში შესვლის მაშინაც გვჯეროდა და ა.შ. რატომ აღმოჩნდა დამოუკიდებლობა მუხრუჭი წინსვლისა და განვითარების გზაზე?

— შეხედეთ, ჩვენს მაშინდელ მოკავშირეებს — ბალტიისპირეთის ქვეყნებს. მართალია, მათ სხვა ისტორიული წარსული და მეტი საფუძველი ჰქონდათ იმისა, რომ იქ, დამოუკიდებლობა უფრო მაღალი ხარისხის ყოფილიყო და ნატოში გაწევრიანებაც მარტივად მომხდარიყო, მაგრამ ჩვენ სულიერი თუ მატერიალური თვალსაზრისით, ყველაფერი გავანადგურეთ. ეს ჩვენი ბრალია. ეს, ქართული ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდა. გარდა ამისა, ჩვენმა „კეთილისმსურველებმა“ თუ მტრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სწორ გზაზე არ დავმდგარიყავით.

შე ელაბორო და ელახანგა მელია, ამიერიდან მეგრელებზე და სამეგრელოზე ხმის ამოღება არ გაბედო!

ნიკანორ მელიავ, რა დაბოღმილი ყოფილხარ თურმე, მეგრელებზე და სამეგრელოზე, ეს რა შხამი და ბალღამი ამოანთხიე, შე არაკაცო.

როგორც ჩანს, შენ და ნაციონალები ძალიან ნაწყენი ხართ — ოინი რომ არ გაგივიდათ და ჯერ სანდრას ნიფხავი, მერე კი ანზორას ძიქვა რომ ვერ ჩამოაცვით სამეგრელოს და მეგრელებს თავზე...

როგორი უსინდისო, როგორი პროვოკატორი უნდა იყო, მანც და მაინც ხაზგასმით მეგრელებზე რომ თქვა: 2008-ში მეგრელებმა ტანკებს გააყოლეს თვალიო.

მეგრელებმა კი არა მთელმა საქართველომ ვერ მოსაწრო გონს მოსვლა, ისე თვალის დახამხამებაში დაამთავრეთ ნაცებმა „ძლევამოსილი“ ომი რუსებთან — კუდამოძუებული გამოიქეცით ბრძოლის ველიდან, მტერს პირისპირ შეატოვეთ მშვიდობიანი მოსახლეობა, ბრძოლის ველზე უპატრონოდ დაყარეთ ქართველი ჯარისკაცების ცხედრები და თავისუფლების მოედანზე ცეკვა-თამაში გააჩაღეთ — გავიმარჯვეთო.

მეგრელებს, გინდათ, კახელებს, იმერლებს, სვანებს, გურულებს, სხვებს და სხვებს, რა უნდა ექნათ, როცა თქვენ, ხელისუფლებაში მყოფმა ნაციონალებმა, „მთავარსარდალ“ სააკაშვილის მეთაურობით, ქვეყანას უღალატეთ — ქართველი ხალხისგან მალულად მტერთან სავაჭრო-კომერციული მოლაპარაკებები გამართეთ და საქართველოს ტერიტორიის 20% ლანგრით მიართვით.



მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ის, რაც მელიამ საუბარში ვითომდა შემთხვევით წამოროშა, სულაც არ არის უნებლიეთ წაცდენილი ფრაზა.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს ფრაზა მიზანმიმართული პროვოკაციაა, რომელიც სამეგრელოს გამოწვევას და მის ჩართვას ისახავს მიზნად ხელოვნურად აგორებულ დისკუსიაში, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში დაპირისპირების და არაჯანსაღი დებატების საბაბი შეიძლება გახდეს.

ნაციონალები ყოველთვის პრაგმატულად უყურებდნენ სამეგრელოს საკითხს და უკაცრავად გამოთქმაზე და ძალზე მზაკვრულად იყენებდნენ მას საკუთარი პოლიტიკური მიზნების სასარგებლოდ.

როგორ და რანაირად ახერხებდნენ ნაცები ამას, ეს ვრცელი და ფართო თემაა და ამაზე დაწვრილებით სხვა დროს ვილაპარაკებ, აქ კი მხოლოდ ერთ ფაქტზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.

ფარისეველი და ვირეშმაკა სააკაშვილი ისეთ ილუზიას ქმნიდა, თითქოს ყველაზე მეტად მეგრელებს ენდობოდა და ამიტომ ძალოვან სტრუქტურებში ხშირად აწინაურებდა მეგრული წარმოშობის კადრებს, რომლებსაც, შემდეგ, ფაქტობრივად, ჯალათებად და სადამსჯელო და რეპრესიული ფუნქციებისთვის იყენებდა, რაც სულაც არ უშლიდა ხელს სამეგრელოს მოსახლეობას განსაკუთრებული სისასტიკით მოპყრობოდა.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ საპატიმროში მყოფი 10 პატიმრიდან შვიდი მეგრელი იყო.

ასე „უყვარდა“ სააკაშვილს და ნაცებს სამეგრელო და ახლაც იგივე „სიყვარულით“ უყვართ.

რაც შეეხება ტანკებისთვის „თვალის გაყოლებას“, საქართველოს არც ერთ კუთხეს არ დასტყდომია თავს იმდენი უბედურება, რაც სამეგრელოს დაატყდა თავს შინაური დამპყრობლების მიერ პროვოცირებული სამოქალაქო დაპირისპირების, შემდგომ კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს.

ათიათასზე მეტი ქართველის სიცოცხლე შეეწირა ამ კონფლიქტს, მათ შორის რამდენი იქნებოდა შენი ანგარიშით მეგრელი, მელიავ?!

ნაცებმა სამ დღეში წააგეს ომი სამაჩაბლოში, აფხაზეთში კი 13 თვე და 13 დღე ებრძოდა აფხაზეთის ქართველობა კბილებამდე შეიარაღებულ „ინტერნაციონალურ“ არმიას, რომელსაც სხვა ქართულ შენაერთებთან ერთად მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ქართველთა ადგილობრივი ლაშქარი, რომლის ძირითადი შემადგენლობა სწორედ რომ მეგრელები იყვნენ.

სანამ აფხაზეთის ტრაგედია მოხდებოდა, მანამდე ხუთჯერ გადაუარეს სამეგრელოს „დემოკრატიისთვის“ მებრძოლმა ბანდფორმირებებმა, რასაც უამრავი მსხვერპლი, ნგრევა და პარტახი მოჰყვა.

ამდენი საშინელებების გადამტან მეგრელებზე ამბობ, შენ, გადაკრულ სიტყვას, შე ელაბორო და ელახანგა მელიავ?..

ამ რეპლიკაში ხშირად ვახსენე სიტყვა მეგრელი.

მელიას უსინდისობამ მაიძულა ეს გამეკეთებინა, თორემ მეგრელი და დანარჩენი კუთხის ქართველი ვინ გაყო ერთმანეთისგან?!.

დაბოლოს, თემის გაგრძელებას უახლოეს ხანებში აუცილებლად შემოგთავაზებთ.

ვახტანგ ხარჩილავა



ამხანაგ მიხას თეზისები

ამასწინებზე ყოფილმა ზვიადისტმა და ამჟამად მიხუინმა ეკა ხერხეულიძემ გვაცნობა, მიშა სააკაშვილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმაზე მუშაობს, ჩუუუ, ხელი არავინ შეუშალოთ, ამ დღეებში მსოფლიო ეკონომიკის მამას, რომან კუპონოვიჩს გამოიძახებს, კონსულტაციას გამართავს და მოგვიანებით გეგმასაც გაგვაცნობსო. დარწმუნებულნი იყავით, მიშა ძაან მაგარ პროგრამას დაგვიწერს, წვეთი რო არ გაუვა, ისეთს, ამაღორძინებელსა და გამაბრწყინებელსო. ხერხეულიძე ძლიერ აღტყინებული გახლდათ, სააკაშვილმა უთუოდ სხვა სახეირო კონცეფციები და აღმშენებლობითი დოკუმენტებიც გააცნო.

გავიდა დრო, მიშამ დაწერა, რომან კუპონოვიჩიც მიიწვია საკონსულტაციოდ, სხვა გამოჩენილ პოლიტიკოსებსაც შეხვდა რუსთავის რეზიდენციაში, იფიქრა, განსაჯა, განაზოგადა, გაანალიზა, თავდაუზოგავად იმუშავა, ეკონომიკური ლაბირინთები

გამოთვალა და დაადგინა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის წარმოებას, განაწილებას, გაცვლას, ფასსა და მოხმარებას.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ და თავი არ მოგაბეზროთ, ეგრევე მოგახსენებთ, რომ ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილმა თავისი ეკონომიკური ჭვრეტის ძირითადი თეზისები გამოაქვეყნა, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი: „სიღარიბის და უმუშევრობის დაძლევა, მითი ნამდვილად არ არის“. გაიგონეთ? თქვენ კიდე გადმოდგებით ხოლმე და ამტკიცებთ, ეგ ყველაფერი მითი და ზღაპარიაო. ეგე, სააკაშვილმა გამოთვალა, გაისიგრძესიგანა და დაასკვნა, რომ სიღარიბიდან სიმდიდრეში გადასვლა რეალობაა, განა თვითონ ეგრე არ გადავიდა გიულ დედულ-მამულისთან ერთად?

სააკაშვილის ეკონომიკური ხედვის პროგრამაში 9 ძირითადი მიზანია გამოყოფილი: სასამართლო რეფორმა, ინგლისური სამართალი, არბიტრაჟი, ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაცია, დეოლიგარქიზაციის კანონის მიღების საჭიროება, ენერგეტიკული განვითარება, ბიუროკრატია ხალხისთვის და არამიზნობრივი ხარჯების გაუქმება, ერთი გადასახადის პრინციპის შემოღება, ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის განვითარება, ლაზიკის მშენებლობა, სოფლის მეურნეობის განვითარება და ქართული სილიკონის ველი.

მოდით, ბოლოდან დავიწყოთ, რას ნიშნავს „ქართული სილიკონის ველი“? ეს გახლავთ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ტიპი, ანუ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი აშშ-ში, კალიფორნიის შტატში, სანტა-კლარას ველზე.

ოდესღაც სასოფლო-სამეურნეო რაიონში ამჟამად გაშენებულია მრავალი ქალაქი, რომლებიც ჯაჭვივით არის გადაჭიმული სან-ფრანცისკოს ყურედან ქალაქ სან-ხოსემდე. მათ წარმოშობას სათავე დაუდო პალო-ალტოში მდებარე სტენფორდის უნივერსიტეტმა, სადაც 1940-იანი წლებიდან ტარდებოდა კვლევები ელექტრონიკის სფეროში.

მოკლედ, უფრო მარტივად რომ მოგახსენოთ, ეს არის ქალაქები, სადაც მუშაობენ უახლეს ტექნოლოგიებზე, ანუ გამოგონებებზე. ამხანაგი მიხა გვთავაზობს ანალოგიური ქალაქების გაშენებას კოლხეთის დაბლობზე, ჩვენ მეცნიერულად გეზი უნდა ავიღოთ ლიმნისკენ. როგორ? ჰმ, როგორ და... ჩვენ შეგვიძლია, ლიმონმჟავასგან დავამზადოთ ნახევარგამტარები და გავაგზავნოთ იაპონიაში, იმათ იციან, რაც უნდა ქნან. თუ ალაზნის ველზე გავაშენებთ, მაშინ მოგვიწევს რქაწითელის წიპწების მოგროვება და გაგზავნა ჰავანაში, იქ იციან, რა უნდა ქნან. მთავარია, ეს ყოველივე „იქნას“ მეცნიერულ დონეზე „გამოკვლევებული“.

ბოლოს წინა თესიზი გახლავთ ლაზიკას მშენებლობა. ეს არ ავიწყდება ამხანაგ მიხას, ეს მისი ოცნებაა ჯერ კიდევ მამათაგან და პაპათაგან. უფრო სწორად, ოცნება კი არა, ანდერძია მამათაგან და პაპათაგან. დიახ, იმათ დაუტოვეს ქაღალდი, სადაც ყვითელზე ლურჯად ჯერ კიდევ იკითხება: „მიქაელ, შენ უნდა აღაშენო ქალაქი დასავლეთით და აღმართო კოშკი აღმოსავლეთით, ქალაქს უნდა ეწოდოს ლაზიკა, ხოლო კოშკს - გიულ-დედული“. ეს ანდერძი უკვე განხორციელებული იქნებოდა, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, რომ არა ოლიგარქი. აი, სწორედ ამიტომაც არის საჭირო ამ ქვეყანაში დეოლიგარქიზაცია. თუმცა აქ არის ერთი პრობლემა - იმდენი ფული წაიღეს ამხანაგმა მიხამ, მისმა ბიძამ, მისმა ამფსონებმა, კეზერაშვილებმა და სხვა „მავნებმა“ თვითონ უფრო გამოდიან ოლიგარქები. ბიძინა ივანიშვილი საერთოდ აღარ ერევა პოლიტიკაში, კაცი წავიდა და თავის საქმეს აკეთებს, ამათ უნდათ უკან მობრუნება დიდი ფულების ხარჯვით, რათა მერე გაასმაგებულად ამოიღონ. არ გამოვა, არ გამოსდით, იმდენად გაიფუჭეს ცხოვრება, ჩავლილია უკვე მაი ამბავი.

სასამართლო რეფორმაო, ახლა იძახის ამხანაგი მიხა, როცა ხელისუფლებაში მისი მოთრევიდან 18 წელიწადია გასული. დიახ, 18 წლის თავზე გაახსენდა, როცა „კლეტკაში'' ჩასვეს კოხტად. თანაც ინგლისური სამართალიო... ნეტავ, რას გულისხმობს? ინგლისური სამართალი არის სწრაფი და კომერციული. რასაკვირველია, ამხანაგ მიხას აწყობს სწრაფი და კომერციული, იქ ბევრი ფულებია შესატანი. სხვათა შორის, რასაც ყოფილი გრძელი გვეუბნება, ამას უწოდებენ ანგლო-ამერიკულ სამართალს და იმდენი კაზუსია წამოხვავებული, ჩვენში ამის გამგებ-განმსჯელი არავინ მოიპოვება. თქვენ გგონიათ, თეზისების ავტორს ესმის, რას ნიშნავს, რას წარმოადგენს, რა წერია ბრიტანელების კანონმდებლობაში? არა, ყური აქვს მოკრული და ბოდავს.

ბიუროკრატია ხალხისთვის და არამიზნობრივი ხარჯების გაუქმებაო, წერს ისა, კვირაში ერთხელ საქალაქო სასამართლოს „სცენაზე'' რომ გამოდის ხოლმე სკეტჩებით. ამაზეა ნათქვამი, „დათვს თავში ურტყამდნენ და იძახდა, ბანგი-ბუნგის ხმა საიდან მოდისო“? ზუსტად ეგრეა ესეც, არამიზნობრივი ხარჯების გამო ასამართლებენ და იძახის, გამიშვით, არამიზნობრივი ხარჯები უნდა შევამციროო. მეტიც, ტიპი ცოტა ხნის წინ იძახდა, ნამახვანჰესი არ უნდა აშენდესო და ახლა წერს, ენერგეტიკა უნდა განვითარდესო. თუმცა სანამ პრეზიდენტი იყო, ამტკიცებდა, ნამახვანჰესი უნდა აშენდესო, საჭიროაო.

ამხანაგ მიხეილს გული სტკივა, როცა „ქართული ოცნება“ იძახის, საქართველო ბედნიერად ცხოვრების ადგილი არ არის, წადით აქედანო. მე ასეთი რამ არ მომისმენია, როგორცა სჩანს, იმას გულისხმობს, ივანიშვილმა რომ თქვა წლების წინათ, უცხოეთში დაგასაქმებთო. სხვათა შორის, უცხოეთში დასაქმებაზე ლაპარაკობდა დავით ბაქრაძე წინასაარჩევნოდ, წაგიყვანთ, საქმეს გაგიმარტივებთ, დაგასაქმებთო. ბაქრაძის ინიციატივა ინოვაცია იყო, ივანიშვილისა - ბოროტება. არადა, კაცმა თქვა, უსაბუთოდ რომ დაბლაყუნობთ და პანჩურის რტყმით გარეპორტებენ, სახელმწიფოებთან მოვილაპარაკებთ, ხელშეკრულებებს გავაფორმებთ და მუშაობის უფლებას მოგცემენ, ადამიანურად მოგექცევიანო. ამათ ატეხეს ამბავი, ივანიშვილი სამშობლოდან გვყრის, საქართველო თავისთვის უნდაო. გაიგონეთ? მხოლოდ თავისთვისო, ყველას მოგვიცილებს, დავჯდება დენდროლოგიურ პარკში და იღიღინებსო. ხან დენდროლოგიურ პარკში, ხან კიდევ აბასთუმანში, ან შეკვეთილში, ან — ჭორვილაში. ერთი, რა მაგის პასუხია და, წამდაუწუმ ის გამახსენდება ხოლმე, ნინო ძალომ (ბურჯანაძემ) რომ თქვა, ბიძინა ივანიშვილი ავადმყოფი რომ არ იყოს, ცოლ-შვილს ჭორვილაში აცხოვრებდაო? იმის მერე მეცინება, ვეღარ **ვჩერდები, ეს ქალი ძაან წაუგოიმებს — დედამიწაზე რა ხდება, აზრზე არ არი, ყველაფერს „ქალაქურად“ უყურებს. მაგას წარმოუდგენია, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრები ჭორვილაში ნახირს მწყემსავენ და „კალოშებით“ დადიან. ვუყურებ ამათ და ახლა შემეშინდება ხოლმე, ესენი რანაირად იყვნენ ხელისუფლებაში, ამათ როგორ ებარათ ჩვენი ბედი და როცა ებარათ, ჩვენ როგორ** გვეძინა ღამით?

ამხანაგ მიხას ეკონომიკური დასკვნა ასეთია: „ჩვენი მიზანია, შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც მოემსახურება როგორც ქართველი ხალხის კულტურის, ტრადიციის და იდენტობის დაცვას, ისე უზრუნველყოფს მის პროგრესულ მომავალს და კეთილდღეობას''.

როგორ გითხრათ... ეს არ გახლავთ დასკვნა, ეს არის სადღეგრძელო, რომლის შემდეგაც უნდა წამოიძახო: თან დაასხი, მერიქიფევ! უკაცრავად, დაასხი ამათთან არ მოსულა, უნდა წამოიძახო, თან გავიჩხიროთ, ოღრაშებო!

ამხანაგ მიხას იდეებსა და პროგრამებზე სერიოზულად საუბარი სისულელეა, ამაზე მხოლოდ ღადაობა თუ შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, მას მაინც ჰყვანან ავადმყოფი მიმდევრები და ავტომატურად თავების დამქნევები. არა, თავები მაგათ საიდან? უბრალოდ, რაც მხრებზე აბიათ, იმის დამქნევები. როგორც ჩანს, ესეც ჩვენი სახადია, გავა ცოტაოდენი დროც და ეგენიც გადაშენდებიან. აუცილებლად გადაშენდებიან!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მთავარი მოწმე

პეტრე მამრაძე: მე გარკვეული პრეტენზიები მაქვს შევარდნაძის მიმართაც

(გაგრძელება. დასაწყისი იხ . „სგ“ N3-4)

„საერთო გაზეთი“ განაგრძობს ინტერვიუების ციკლს სახელმწიფო კანცელარიის ყოფილ უფროსთან, ორი მოწვევის ყოფილ პარლამენტართან, ბატონ პეტრე მამრაძესთან:

— ბატონო პეტრე, შევარდნაძემ თქვა, ეს ახალგაზრდები კი მოვლენ ხელისუფლებაში, მაგრამ მალე ცხინვალის რეგიონს და აფხაზეთს დაკარგავენო, ეს აგვიხდა.

— შევარდნაძე მტკიცებულებით ფორმაში ასეთ რამეს არასოდეს ამბობდა... მან სამჯერ მითხრა, ეს ასე მოხდება, შენ რას იტყვი, პეტრე? მე ვეუბნებოდი მტკიცედ: ბატონო ედუარდ, ვალდებული ვარ გითხრათ, რომ ეგენი უსათუოდ დაკარგავენ და ჟვანიას იმედიც არ უნდა გქონდეთ-მეთქი.

— აი, სწორედ ეგ უნდა მეკითხა, თქვენ წინა ინტერვიუსავით ჩაატარეს — იქ ე.წ. პატრიოტულმა ძალებმა იმძლავრეს, მარულა გამართეს, დოღი გამართეს, ქართული დროშა აღმართეს, იყო აღტყინება, ასევე ზეიმობდნენ აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში, ცოტაც მივაწვეთ, გალი უკვე ჩვენია, დანარჩენსაც ავიღებთო. სამწუხაროდ, არაერთი პარლამენტარი იყო ჩართული ამ საქმეში და მათ შორის ზურაბ ჟვანიაც. მე გარკვეული პრეტენზია მაქვს შევარდნაძის მიმართაც, ვერ გააკონტროლა ბოლომდე პროცესები... თუმცა ძნელია, ერთმა ადამიანმა გააკონტროლოს, როცა გარშემო თითქმის ყველა იძახის, შევარდნაძეს არ უნდა, თორემ უკვე იმდენი ძალა გვაქვს, შევალთ, ავიღებთ, იქამდე მივალთ, აქამდე მივალთ. მერე დაიწყო მითქმა-მოთქმა, რუსეთს მაინც ანგარიშს უწევსო. ძალიან პროვინციული მიდგომა იყო, ჩვენ ხომ გალში მარულა ჩავატარეთო? რთულია ამის დაჯერება, მაგრამ განწყობა იყო, პირდაპირ იწევდნენ, აფხაზეთი უნდა ავიღოთო.



— და ამის გამო უყვიროდა შევარდნაძე ჟვანიას?

— დიახ, მას უყვიროდა, ზოგიერთი რამის გაკეთება ცოტა სხვანაირად და უკეთესად შეიძლებაო.

— რაკი ჟვანიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ გკითხავთ: ადრე ითქვა და პრესაშიც დაიბეჭდა, რომ ზურაბ ჟვანიამ საქართველოდან 107 მილიარდი მანეთი თვითმფრინავით რუსეთში გაიტანა და დოლარში გადაცვალა, ეს იყო ჩვენი მოსახლეობის ანაბრები. თქვენ იქ იყავით, ასეთი რამ მართლა მოხდა?

— არა, ეს ყველაფერი არის საოცარი მითოლოგია, რომელსაც ასევე გააჩნია მითოლოგიური საფუძველი. იმ პერიოდში ჟვანიას ჭორებსაც კი უყრიდნენ, მამამისის შვილი არ არისო, სულ სხვა ვიღაცისააო. ის 107 მილიარდი საერთოდ არ არსებობდა ბუნებაში.

— აბა, ის ფული, ხალხს რომ შეატანინეს ბანკებში, უახლოეს ხანში გაგიორმაგებთო, სად აორთქლდა?

— არ მაქვს ამაზე პასუხი, რადგან არასოდეს მინახავს, სადმე რამე თუ წაიღეს. თუმცა ის კი ვიცი, საიდან გაჩნდა 107 მილიარდი მანეთის ამბავი... ეს ის დროა, 1993 წელი, როდესაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნაწილმა ძალიან იხეირა, განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნებმა. მოსკოვის ცენტრალური ბანკიდან ხდებოდა დიდი კრედიტების აღება, რასაკვირველია, რუსებს თავიანთი „ატკატი“ ბანკშივე რჩებოდათ. შემდეგ კონვერტაცია ხდებოდა ვალუტაში და თავისი სარგებელი რჩებოდა რესპუბლიკას. რაც საქართველოში კუპონობის პერიოდში ხდებოდა, თითქმის იგივე ხდებოდა რუსეთში გაგანია კორუფციის პირობებში. ბალტიისპირელებმა გვითხრეს, ჩვენ ეს არხი გვაქვს, ამას ვაკეთებთ, ჩვენზე გაჭირვებულები ხართ, თქვენ რატომ არ სარგებლობთო? ჟვანიამ ეს ამბავი უთხრა შევარდნაძეს. ედუარდმა თქვა, რა ვიცი, მე ეგეთებისა არაფერი გამეგება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტ დვალიშვილს ჰკითხეთ, თუ საქართველოს რამე დარჩება, მაგას რა სჯობსო? დვალიშვილმა ამას ორივე ხელით დაუჭირა მხარი. თან ბალტიისპირელები თავიანთ თავზე იღებდნენ რაღაც საკითხებს, ყველაფერი იქნებოდა გამჭვირვალე. დაიწყო ამაზე ზრუნვა, მაგრამ ამ დროს ატყდა ერთი ამბავი, წივილი, კივილი, გამოვარდნენ ვიღაცები და დაიწყეს, „მწვანეებმა“ მოინდომეს 107 მილიარდის მითვისება ჩვენი ბანკიდანო. შემდგომში რეზო შავიშვილმა დადო აუდიტის დასკვნა, სადაც ეწერა, რომ ეს ფული არ არსებობდა.

— ფული არ არსებობდა? ვერ მოაგროვეს, თავი ვერ მოაბეს თუ ისევ ბოღმიანობამ იმძლავრა?

— საჭირო იყო განაცხადი საქართველოს ეროვნული ბანკიდან, ეს ქაღალდი არც კი ჩასულა მოსკოვამდე. სქემა, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა წარმატებით განახორციელეს, საქართველოში შიდა მტრების მეცადინეობით ვერ განხორციელდა.

— თქვენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, დემურ დვალიშვილს პირადად ახლოს იცნობდით?

— კი, ვიცნობდი.

— მისი თვითმკვლელობა ხომ არ იყო ამ ამბებთან დაკავშირებული?

— არანაირად... დვალიშვილი იმ პერიოდში მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფებოდა, პარლამენტის წევრები და თანამდებობის პირები კბილებით გლეჯდნენ, ყველას კრედიტი უნდოდა. რაღაცებს თმობდა, რაღაცებს არ თმობდა, ის უწესიერესი ადამიანი იყო. თუ გინდათ თემურ ჩარკვიანის ამბავი ავიღოთ, გამორჩეული ვაჟკაცი იყო, მაგანაც თავი მოიკლა.

— დვალიშვილმა წერილი დატოვა, ჩემ საქმეში დამნაშავეები ზურაბ ადეიშვილი და მიხეილ სააკაშვილი არიანო. კაცს სიღნაღი ლამის ხელახლა ააშენებინეს და მერე გადააგდეს, ერთი თეთრი არ მისცეს.

— მანამდე პარლამენტში ვნახე, ვიღაცებს ხელი ღიად დავადე არაერთ დანაშაულში, ახლოს აღარავინ მეკარებოდა, მარტო დავრჩი, თემური მოვიდა, უკნიდან მხრებზე მომხვია ხელი და მითხრა: პეტრე, ერთი რამე გამაგებინა, ამდენმა ახალგაზრდა ნაძირალამ ერთად თავი როგორ მოიყარა, ერთმანეთი ასე როგორ მოძებნესო? მართლაც ერთნაირი ნაძირალები გროვდებოდნენ, ახლა ამ გადასახედიდან წარმოდგენაც კი მიჭირს, რა იყო და რა ხდებოდა.

— ამ ნაძირალა ახალგაზრდებმა ერთმანეთიც არ დაკარგეს, ისევ ერთად არიან, ხედავთ?

— დაკარგეს, დაიშალნენ, გადავჯგუფდნენ, გადმოჯგუფდნენ, მაგრამ რაღაც მომენტებში მაინც ერთიანდებიან, მათ სიძულვილი აერთიანებთ. იმ პერიოდში იყვნენ „ნაცი“ დეპუტატები, რომლებიც ადამიანებს მობილური ტელეფონის ნომრების მიხედვით არჩევდნენ, თუ „მაგთის“ ნომრით დაურეკავდი, გიპასუხებდა, თუ „ჯეოსელის“ ნომრით — ისე რა, გააჩნია, როგორ ხასიათზე იყო, ან გიპასუხებდა ან არა. „ლაი-ლაის“ ნომერს საერთოდ არ პასუხობდნენ, მათი აზრით, ამ პროვაიდერით დაბალი ფენა სარგებლობდა. გეუბნებით, ასეთებს პირადად ვიცნობდი. როგორ შეიძლება, ადამიანი, რომელიც საზოგადოებას ტელეფონის ნომრების მიხედვით ყოფს, ის პარლამენტში იჯდეს და ქვეყნის ბედს წყვეტდეს?

— საოცარია, „ნაცებზე“ ბევრი უმსგავსობა გამიგია, მაგრამ ადამიანებს თუ ნომრების მიხედვით ყოფდნენ, ეგ არ ვიცოდი.

— აი, ამ დონის ხალხი იკრიბებოდა ე.წ. ახალგაზრდულ ფლანგზე.

— თქვენც დარწმუნებული ხართ, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ზურაბ ჟვანია არ მოკლეს. მე არასოდეს ვიღებდი ხმას ამ თემაზე, მაგრამ უნდა ვთქვა, არავითარი ეჭვის საფუძველი არ მაქვს, ის მოკლულად ჩავთვალო. სხვათა შორის, იუსუფოვი არ უნდა გვავიწყდებოდეს, მაღალი თანამდებობა არ ჰქონდა, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდა იყო. სააკაშვილს თავისი ცოდვებიც ეყოფა, საკმარისზე ბევრი აქვს, პერიოდულად ვრცელდებოდა ჭორები, თითქოს დაქირავებულ ბინაში მკვდარი მიიყვანეს, ვითომ მიშამ საფერფლე ესროლა და საფეთქელში მოხვდა. ეს ყველაფერი ტყუილია. როგორც სააკაშვილს არ მოუკლავს ჯონ კენედი, ისე არ მოუკლავს ზურაბ ჟვანია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უბედური სააკაშვილი უკეთესი ადამიანია.

— კი, მაგრამ საქმეში არის უამრავი უზუსტობა, საზოგადოებაში არსებობს უამრავი საფუძვლიანი ეჭვი, თქვენ ამ ყველაფერს უარყოფთ და ამბობთ, რომ ჟვანია გაზით გაიგუდა?

— მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი მითითებით ამდენი ადამიანი მოკლეს, აწამეს, გააუპატიურეს... გაიხსენეთ როინ შავაძე, დათო ცინდელიანი, პოლკოვნიკი თეთრაძე, გაიხსენეთ სხვები, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჟვანია მას არ მოუკლავს. როინ შავაძეს სააკაშვილის ბრძანებით ყველა ძვალი გადაუმტვრიეს და 23 ტყვიაც დაახალეს, გესმით? 300 ათასზე მეტი ადამიანი გაუბედურდა, პრობაციონერი გახდა. ისე, როცა ამდენ ბოროტებას ჩაიდენ, შემდეგ რაც არ უნდა მოხდეს, ვინც არ უნდა ჩაიდინოს, მაინც შენ დაგბრალდება. ხალხი ვერ იჯერებს, პრემიერ-მინისტრი საბურთალოზე რაღაც ღარიბულ ოთახში რანაირად უნდა გაგუდულიყო? კარგი რა, თანაც ვიღაც ბიჭთან ერთად?

— ჰოდა, თქვენ რატომ გჯერათ, რომ სწორედ ისე იყო, როგორც ვანო მერაბიშვილმა გამოაცხადა?

— მე ამ საქმით მაშინვე დავინტერესდი, მქონდა კონფიდენციალური საუბარი რამდენიმე ადამიანთან, მქონდა კონფიდენციალური საუბარი ამერიკელებთან, ელჩებთან და მაქვს გადამოწმებული ინფორმაცია. ამბობდნენ, ჟვანია ასეთ იაფფასიან კონიაკს არ დალევდაო, არც იაფფასიან ძეხვს შეჭამდაო. მოკლედ, ყველაფერი თქვა კობა ხარშილაძემ, ჟვანიას დაცვის უფროსმა. მე ამ თემას აღარ შევეხები, რადგან ეს უკავშირდება პირად ცხოვრებას, ეს უკვე ჩემი საქმე არ არის.

— გასაგებია, თემა შევცვალოთ... მიხეილ სააკაშვილი ემუქრება ბიძინა ივანიშვილს, ფსონი პუტინზე რომ დადე, შეგეშალა, ბიჭო, მალე წააგებო. ვერ გავიგე, ხან პუტინი დებს ფსონს ივანიშვილზე, ხან ივანიშვილი დებს ფსონს პუტინზე, ეს უბედური საკუთარ სიზმრებს ყვება?

— ეს ნიშნავს ორ რამეს... პირველი — მართლა მოწყვეტილია რეალობას; მეორე — ეს ადამიანი იმდენადაა დაავადებული ფსიქოპატიით, თავის სურვილს ასაღებს რეალობად. ასეთ ადამიანს თუნდაც გორის კადრები აჩვენო, — მოგვიანებით გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს მიშამ რუსული თვითმფრინავი გაიყოლა და ამით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გადაარჩინა.

— აა... ესე იგი, სააკაშვილმა რუსული ბომბდამშენი გაიტყუა, ხომ?

— დიახ, გაიტყუა და რაც მთავარია, ეს იყო გმირობა. სხვათა შორის, დაცვა ვერ მიხვდა სააკაშვილის სტრატეგიის სიბრძნეს. ხუმრობა იქით იყოს, ეს არის დიდი უბედურება. თქვენ გგონიათ, მიშა 24 საათის განმავლობაში ასე ფიქრობს? არა, შესაბამის პრეპარატებს რომ მიიღებს, პერიოდულად გამოერკვევა ხოლმე, მაგრამ მერე ამოიქოქება და ლაპარაკობს იმას, რისი სურვილიც აქვს. მინდა შეგახსენოთ ერთი მომენტი... 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში ჩამოვიდა სენატორი ჯონ მაკკეინი. როცა სააკაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და ენა გადმოაგდო, ბიძინა ივანიშვილი პუტინმა გამოაგზავნა, 1 მილიარდი დოლარი მისცა, მისი დავალებები უნდა შეასრულოსო. ამას მაკკეინი მშვიდად ისმენდა და შემდეგ სააკაშვილს პოლიტიკური სილაც გააწნა — მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, ამერიკელებმა ზედმიწევნით შევისწავლეთ ბიძინა ივანიშვილის პიროვნება და საქმიანობა, არავითარი რუსული კვალი და არავითარი რუსული ფული არ არსებობს, მის უკან კრემლი არ დგას.

— ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა თითქმის იგივე გაიმეორა რამდენიმე დღის წინ, ეს ადამიანი არის ქველმოქმედი და ფილანტროპიო. კი დაუსკდათ „ნაცებს“ გულები, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, რასაც ეს კაცი აკეთებს, ჯერაც არავის გაუკეთებია.

— უდამპლესი ხალხია, უდამპლესი! ალბათ გახსოვთ, როგორ აგინა გვარამიამ ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, როგორ მიაყენა არნახული შეურაცხყოფა ქალბატონს, ზურგში მახვილი ჩაგვცაო. რატომ აგინა? მან თქვა, გიორგი რურუა პოლიტპატიმარი კი არა, ერთი ჩვეულებრივი კრიმინალიაო. ჯერ ერთი, ეს ითქვა კერძო საუბარში, იმ ქალს ამ თემაზე საჯარო განცხადება არ გაუკეთებია. გვარამიას არავინ ექაჩებოდა ენაზე, ეს გაესაჯაროებინა. გვარამია გიჟი არ მგონია, ნიჭიერი კაცია, მაგრამ როცა ადამიანი იტყვის, ნეტავ მეტეორი ჩამოვარდეს და ახალგაზრდებს დაეცეთო, რომელ ნიჭიერებაზეა საუბარი?

— არ ვიცი, მის ნიჭიერებაში როგორ დაგეთანხმოთ, ნიჭიერი პროვოკატორი ნამდვილად არის.

— დიახ, მას ვალდებულებებიც აქვს, ყველაფერი ფულია, თვეში 80 ათასს იღებდა. მას ფული ურჩევნია. როცა უკვე ამდენი დანაშაულია შეკრული, გასვლა რთულია. როგორ შეიძლება ამერიკის ელჩზე რამე ცუდი თქვა? ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში ქართველებს გვერდით უდგას.

— და ბოლოს, სად გაქრა თემურ ალასანია, მიხეილ სააკაშვილის ბიძა, ხომ არაფერი იცით?

— არ ვიცი, ეგ ხომ პროკურატურაში დაიბარეს, იქ რაღაცები ილაპარაკა, მერე ნოდარ მელაძესთან მივიდა, ახლა იქ ილაპარაკა და წავიდა თურქეთში სამკურნალოდ. მელაძესთან თქვა, ოპოზიციამ შეუძლებელი ვერ შეძლო, თუ ვითარების შეცვლა გვინდა, შეუძლებელიც უნდა შევძლოთო. ის შეგნებულად გადაიკარგა, აღარ გამოჩნდა.

— სწორედ ეგ არის საინტერესო, რატომ გადაიკარგა?

— ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი დარწმუნდა თავისი დის შვილის არარაობაში, ვალი მოიხადა. დიდი ალბათობით, გიულიმ სთხოვა, ჩამოდი, მიშას დაელაპარაკეო. თუმცა თავისი რევოლუციური ხუშტურიკებიც ჰქონდა, გუბაზ სანიკიძეს ურეკავდა, შეატყობინე მსოფლიო თანამეგობრობას, რომ ჩვენ ხელში ვიღებთ ძალაუფლებას, გამოაცხადეთ დაუმორჩილებლობა, ჩვენ პარტნიორებისგან არ გვჭირდება დახმარება, მხოლოდ მხარდაჭერა გამოგვიცხადონო. სრული სისულელე, დახმარება არ გვჭირდება, რეგიონში პასუხს ვაგებთ სტაბილურობაზეო. მე მინდა, გავამახვილო ყურადღება ერთ რამეზე — თემურ ალასანია არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, კარგახანია, რაც ამერიკის მოქალაქეა. ამ ქვეყნის კანონმდებლობით, როცა ის პროკურატურაში დაიბარეს, უფლება ჰქონდა, მიემართა საელჩოსთვის, ისინი გამოუყოფდნენ სპეციალისტს და მასთან ერთად გამოცხადდებოდა. მან ეს არ გააკეთა, მივიდა მარტო. რატომ? პასუხი არის ცალსახა: მას არ უნდოდა, რასაც პროკურატურაში ეტყოდნენ, ვინმეს მოესმინა. როცა ადამიანი მართალი არ არის, როცა ადამიანს რაღაც-რაღაცები ჩადენილი აქვს, მისი პოზიციები დეფორმირდება და ცდილობს, გაუჩინარდეს. სამწუხაროდ, ასეთი უცნაური ამბები ტრიალებს ჩვენს გარშემო.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მზია ბაბოს ბიზნეს-მაფია

ქვეყნიერება რომ შეჰყარეთ, მიხეილ სააკაშვილმა თავის დედულ-გიული ალასანიას პრეზიდენტობისას თითო ლარად 30 ობიექტი და მიწის ნაკვეთები გადასცაო, მზია ბაბოზე (გიულის დედაზე) რატომ არაფერს ამბობთ, რესტორან „წისქვილის“ 10%-იან წილში რომ იჯდა და ფულები სახლში მისდიოდა?

თქვენ რა გგონიათ, როცა ჩემი უფროსი მეგობარი ჯუმბერ მაღლაკელიძე საკუთარი ხელით ჯერ სიმინდის საღერღ წისქვილს აშენებდა და შემდეგ ნაწილ-ნაწილ რესტორანიც ჩადგა, მზია ბაბო ხელებში ვარდებოდა, მაიტა, შვილო და ძმაო, ერთი-ორი აგური მეც დამადებინეო?

აგური და ქვა კი არა, ჩემი ფეხები, არაფერიც არ დაუდვია!

რესტორნის პატრონს დაუძახეს, დასვეს, გამოუცხადეს, წილში

უნდა ჩასვა, პრეზიდენტის ბაბოა, ჯიბის ფული სჭირდებაო. რა უნდა ექნა, აწიოკებას ჩასმა არ სჯობდა? 2013-მდე ეჯდათ, ბატონი მიხა გადაშენდა თუ არა, იმასაც ამააწევინეს ტოპრაკა. თუმცა, ტოპრაკა რა, 60 ათასი ლარი კი მიართვეს.

და იცით, რატომ იჯდა რესტორან „წისქვილის“ წილში მზია ბაბო? ეეე... ალბათ გგონიათ, მოხუცი იყო, უბრალოდ პატივსა სცემდნენო? რა ამბობთ, მანდ მაფიოზური ამბები ტრიალებდა, მიმიქარავს ლაკი ლუჩანო, იტალიელი მაფიოზი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან რესტორან „წისქვილში“ 2013 წლის 2 თებერვლამდე მილიონები ირიცხებოდა. ამ პერიოდში სულ 191 ხელშეკრულებაა დადებული. აღნიშნული რესტორნის ყველაზე ხშირი სტუმარი თბილისის მერია გახლდათ. გიგი უგულავა თითქმის ყველა ჩამოსულ სტუმარს მზია ბაბოსთან აქეიფებდა და ფულებსაც მერიის ბიუჯეტიდან ურიცხავდა.

მერიას არც საკრებულო ჩამორჩა. ამ წლების განმავლობაში დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს რესტორან "წისქვილში" სოლიდური თანხები აქვს დახარჯული.

ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, სააკაშვილის ბაბოს აქტიური კლიენტები იყვნენ: იუსტიციის სამინისტრო; დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სურსათის უვნებლობის სააგენტო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; იუსტიციის უმაღლესი სკოლა; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სახალხო დამცველის აპარატი; საქართველოს ეროვნული მუზეუმი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი; სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საზოგადოებრივი მაუწყებელი; საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი; ბუნებრივი რესურსების სააგენტო; ტურიზმის ეროვნული სააგენტო; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; ჯანდაცვის სამინისტრო; მანდატურის სამსახური; იუსტიციის უმაღლესი საბჭო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს აეროპორტების გაერთიანება; აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო; საქართველოს ეროვნული ბანკი; შპს "მარაბდა კრწანისის რკინიგზა"; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტურქტურებში ინტერგაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; შემოსავლების სამსახური; კონტროლის პალატა; გუდაურის განვითარების ფონდი; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

არ დაიჯერებთ... აი, მართლა არ დაიჯერებთ!

2013 წელს, როცა მიხეილ სააკაშვილს ყავლი გაუვიდა და პრობლემები შეექმნა, თურმე აღმოაჩინა, რომ მზია ბაბოს ერთ-ერთ რესტორანში წილი ჰქონია:

„ჩემი პრეზიდენტობის დროს აღმოვაჩინე, რომ ბებიაჩემს, მზია წერეთელს ბაბუაჩემმა გივიმ დაუტოვა ერთ-ერთი რესტორნის წილი და გავგიჟდი. მოვიყვანე ბებიაჩემი, რომელიც ძალიან აქტიური ქალია, ძალიან მიყვარს და არ დაგიმალავთ, ხმას ავუწიე და ვუთხარი, როგორ შეიძლება, პრეზიდენტის ბებიას ჰქონდეს რესტორნის წილი-მეთქი?! როგორ მოგივიდათ ეს თავში-მეთქი? თავს იმართლებდა, ბაბუაშენმა დამიტოვაო. სხვათა შორის, აქეთ მეჩხუბა და მითხრა, ერთხელ მაინც იკითხე, რითი ვცხოვრობ ეს წლებიო?! ამ რესტორნიდან თვეში 2000 ლარის შემოსავალი მაქვს და ამით ვცხოვრობო... მართალი იყო, არ მიმიცია არასდროს ფული. საბოლოოდ, ეს წილი უსასყიდლოდ სხვისთვის გადავაფორმებინე და დავტოვე შემოსავლის გარეშე. ასე ვექცეოდი მე ჩემს ნათესავებს".

ცრუობს ეს ოღრაში, თანაც რამდენიმეგზის: ჯერ ერთი, რა გივი, რომელი მათე? მანდ ერთი კაცი იყო, ზემოთ ვახსენე, საკუთარი ხელით გააკეთა ყველაფერი, ცხონება იყოს მისი. მეორე - უფასოდ გადავაფორმებინეო. უფასოდ არა, ისა, 60 ათასი ლარი მიართვეს სახლში. თურმე ეჩხუბა მზია წერეთელს, როგორ შეიძლება, პრეზიდენტის ბაბოს რესტორანში წილი ჰქონდესო? ეს ჩემი პრეზიდენტობის დროს აღმოვაჩინეო. ქალი 2002 წლიდან წილში იყო და 2013 წლის თებერვალში აღმოაჩინა, სანამ გაჰქუსლავდა, 7 თვით ადრე. მიხო, შე ყურუმსაღო, მიხვდი, ბებიაშენიც გაიჭედებოდა, ესეც ძაან ცუდად „აგიჟღერდებოდა“ და მოიშორეთ!

როგორი ცრუპენტელაა, ეს გათახსირებული, ბებიაჩემს წილი ბაბუაჩემმა გივიმ დაუტოვაო, ნეტავ თუ როდისმე გიკითხავს, რით ვცხოვრობ, რას ვსვამ და რას ვჭამო? ჰა, ჰა, ჰა... საწყალი, ქალბატონ მზიას არც „მილიანერი“ გიული ეკითხებოდა, იმასაც ეკიდა, რომ არა ძალზედ მწირი შემოსავალი „წისქვილიდან", ნამდვილად შიმშილით გასძვრებოდა სული.

ეეეჰ... ტყუილიც არის და ტყუილიც, ნებისმიერ სიცრუეს ძალიან მოკლე ფეხები აქვს, თან კუდიც უჩანს. ისე, რაღაცნაირი ცრუპენტელობა იციან სააკაშვილებმა და ალასანიებმა, ყვებიან, ბოდავენ, ბოდიალობენ, მიერეკებიან, როგორც თვითონ აწყობთ, იმას აღარ უყურებენ, სიმართლე სხვა გზით რომ მიერეკება!

მერე კიდევ დგანან და სხვებზე ჯღანაობენ, პრემიერ-მინისტრმა თავის მეუღლეს მილიონი კვადრატული სანტიმეტრი მიწა აჩუქა ბაკურიანშიო. გადაიყვან ამ სანტიმეტრებს ჰექტრებში და ნახევარიც არ გამოდის. ამათთვის ყველაფერი შეიძლება, სხვისთვის არაფერი.

თუმცა... გიულ დედული, რომელმაც შვილიკოს გავლენით სახელმწიფოს თითო ლარად 30 ობიექტი ააჩია, მაინც ტირის, ჩვენ მიშას პრეზიდენტობის პერიოდში ყველაზე დაჩაგრულები ვიყავით, არაფრის უფლება არ გვქონდაო.

წარმოგიდგენიათ? დავიჩაგრეთ, ხელმოკლედ ვცხოვრობდითო.

ზოგჯერ იკითხავენ ხოლმე, მიხეილი ვის ჰგავსო?

ვის ჰგავს და უფრო მეტად დედას, ტყუილს ისე ჩამოგირაკრაკებს, გული აგიჩუყდება, იმ წამსვე გაგიჩნდება სურვილი, სახლში გაიქცე, განჯინა გამოაღო, თუ რამ ლარები გადაგიდვია, ხელი დასტაცო და მიუტანო. თქვენ გგონიათ, არ აიღებს? თქვენ გგონიათ, უარს იტყვის? თქვენ გგონიათ, თავს გამოიდებს - არა, შვილო, როგორ გეკადრება, ფულის მეტი რა გვაოხრიაო? ააااااა... გამოგართმევს, ჯიბეში ჩაიდებს და წავა. თანაც თვალთაგან ცრემლები წამოსცვივა!

მიხეილი მამასაც ჰგავს, ისიც კაი თუქსუსია - ბალნეოლოგიური წაიღო და იძახის, მიჭირს, ხმელა პურზე ვზივარო.

კი უნდა დასვა ესენი მართლა ხმელა პურსა და ცარიელ მჭადზე, მაგრამ აღნავლდებიან, ტვინს წაიღებენ, არაადამიანურად გვეპყრობიან, გვაწამებენო!

გიულ დედულის რაღაცნაირი ხმა აქვს - მონოტონური, ტრაგიკული, გეგონება მის თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ დანარჩენი ყველაფერი მამხდარაო.

არა, გიულ დედულის ბიზნესის კეთება რომ ეხერხება, ეგ ცხადია, ცხოვრებამ გვაჩვენა, მაგრამ ვფიქრობ, ეგ სამსახიობოზეც უნდა შესულიყო, ტრაგიკულ როლებს ითამაშებდა, იპოლიტე ხვიჩაც კი გაოგნდებოდა.

ჰმ... დავიჩაგრეთო, კაცოოო, ძაან დავიჩაგრეთო, გაიგონეთ? სააკაშვილების ოჯახზეა ლაპარაკი, განა სხვა ვინმეზე, განა მუშათა წამებულ კლასზე? ნიუ-იორკში სახლები, ბრუკლინში „ჩერდაკები“, უკრაინაში სასახლეები, თბილისში ბინები, მიწები, ობიექტები, წილები, ბენზინის ბიზნესი, ბალნეოლოგიური, ათასნაირი „წვრილმანი'' წილები და... მაინც დაიჩაგრნენ. ჩემი აზრით, ეს ღორული აზროვნებაა... საერთოდ, ღორი ჭამს, თქვლეფავს, ჭამს, ხეთქავს, მაგრამ მაინც ტლაპოში წევს და ღრუტუნებს, რომ ჩაგრავენ, რომ მშიერია, რომ კვდება. საკმარისია მცირეოდენი განსაცდელი და ეგრევე იხოცებიან, ეგრევე ღნავიან, რომ მათ არაადამიანურად ექცევიან, აწამებენ და სტანჯავენ.

ფუჰ!

უყურებ ამათ ცოტა ხანს და ეგრევე ადამიანთა მოდგმა შეგძულდება, ნუთუ ასეთებიც უნდა არსებობდნენ ამ ქვეყანაზე და თანაც პრივილეგირებულ მდგომარეობაში?

არ არსებობს!

ეს ბუნების შეცდომაა. თუ ოდესმე ღმერთმა ადამიანთა შეცდომების გამოსწორება გადაწყვიტა, ნიმუშად ესენი უნდა გამოიყენოს და მიხვდება, როგორი არ უნდა იყოს ცოცხალი არსება. განა მხოლოდ ადამიანი? საერთოდ, ცოცხალი არსებაც!

P.S. მზია ბაბო გარდაცვლილია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, წილებში ხომ იყო მეტასტაზივით გამჯდარი? თანაც ჩემი უახლოესი ადამიანის ბიზნესში. ბატონო ჯუმბერ, მზია ბაბო როგორ არის-მეთქი? - ვკითხავდი ხოლმე ირონიულად. ჩუმდებოდა, ქვემოდან ამომხედავდა და ჩაიცინებდა. იცოდა, მაგ თემაზე ლაპარაკი სახიფათო იყო. განა ვინმესი ეშინოდა? არა, ყოფილი პოლიციელი გახლდათ, თანაც მაღალჩინოსანი, უბრალოდ ქიციც იცოდა და ქიცმაცურიც, ვინმესთან დაჯახებას და მთელი ბიზნესის ამოყირავებას აზრი არ ჰქონდა. ახლა რომ ხელისუფლებას წამოაძახებენ ხოლმე, შავი სამყაროს წარმომადგენლებთან გაქვთ კავშირიო, განა მზია ბაბო ნათელი სამყაროს წარმომადგენელი იყო? ძალაუფლებას რომ იყენებ, ვიღაცებს წილებში უჯდები, 10 წლის განმავლობაში ამ წილებით ცხოვრობ, ქურდი ხარ, აბა, ვინ ჩემი ფეხები ხარ?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

საქართველოს ჭრელჩემოდნიანი სტუმრები

თუ ვინმე პირდაუბანელ და გაუპარსავ, მოუთავებელი სახის ჭრელჩემოდნიან მგზავრს შენიშნავთ ევროპიდან (არა მარტო ევროპიდან) საქართველოსკენ თვითმფრინავით მიმავალს, უტყუარია, იგი რომელიმე **„ევრო-ამერიკული“** ჰუმანიტარული, ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იქნება.

დიდი ხანია ისინი **„მშვიდობის მტრედის, განმანათლებლისა და მხსნელის“ მისიით ჩამოდიან ჩვენს სამშობლოში. ამ ბოლო დროს კი, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იხუვლეს.**

ჩემს ბავშვობაში, იმ შეზარხოშებულ რუს ოფიცერზე მომდიოდა ბრაზი, სამშობლოსკენ მომავალ ილია ჭავჭავაძეს რომ უხსნიდა რუსეთის მისიას საქართველოს წინაშე. მესირცხვილებოდა, **საქართველოს და ილიას რა სჭირდა რუსის სასწავლი-მეთქი!**

ვაი, მართლა სირცხვილო, ის, ლოთობისგან ცხვირგაწითლებული რუსი ოფიცერი სანატრელი გაგვიხდა იმათთან შედარებით, ვის აღსაზრდელებადაც სახელწყეულმა შევარდნაძემ და მისმა სულიერმა შვილმა მიშა-შეურაცხადმა აქცია ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლო.

...მართლაც დიდ ინვესტიციებს დებენ დასავლეთში **„ღვთის შვილთა განსწავლისთვის“**. ცხადია, ეს ინვესტიციები უნდა გაამართლონ, მიღებული **„სწავლა-განათლება“** სადმე, რაღაცაში უნდა გამოიყენონ და საგანგებოდ **„მომზადებული კადრები“** დაასაქმონ.

„ევრო-ამერიკული“ — „მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების“ და ე. წ. „განვითარების“ პროექტით, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველო, — სწორედ ამ საგანგებოდ **„მომზადებული კადრების“ „ცოდნისა და გამოცდილების“** სარეალიზაციო პოლიგონად იქცა.

ამასთან ერთად, საქართველო, მათი შეფასებით **„მაღალი რისკის ქვეყანაა“** და ყველა აქ ჩამომსვლელმა უცხოელმა, იმის გარდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ღირსების ორდენს დაჰკიდებს კისერზე, ჯიბეშიც მაღალი და ღირსეული ჯამაგირი უნდა ჩაიდოს!.. თან ერთ თვეში იმდენი, ქართველი აკადემიკოსი 10 წელიწადში რომ ვერ მიიღებს!

ამერიკაში არ ვიცი როგორ არის, მაგრამ ჩემს სამშობლოში ასეთ **„წარმატებულ“ შვილებს,** თვალზე სიხარულის ცრემლმომდგარი ქართველი დედა ეტყვის — **„დედა გენაცვალოსო!“**

მეც, თქვენს დედებს რომ ვენაცვალე და შემოვევლე, ჩვენო უცხოელო „დამკვირვებლებო“ (არ ვიცით რისი დამკვირვებლები ხართ, — სეირის ალბათ!), ჩვენი ბედით დიდად შეწუხებულებო:

— მუხლის ჩოქებზე რომ დაგვიდგეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, შეგვეხვეწონ — მობრძანდით, გვაპატიეთ, თუ რამე გაწყენინეთ, დაბრუნდით თქვენს სახლებშიო, — ეშმაკი ვერ გაგყრით თქვენ საქართველოდან და ცხვირს არ შეგვაყოფინებთ არც ერთგან!

თქვენი ამბავი რომ ვიცი, ბოლო წუთამდე შეასრულებთ **„ინტერნაციონალურ ვალდებულებებს“**, რათა თქვენს ჯამაგირს ცენტი არ მოაკლდეს!

თუმცა თქვენ რას გემართლებით, ან რატომ უნდა გვქონდეს თქვენი იმედი, როცა — საკუთარ სახლში, ევროპაში, ერთმანეთს შორის ვერ მოგიგვარებიათ ურთიერთობები!

შარშან, **„დემოკრატიული“** ევროპის შუაგულში, სამხრეთ ტიროლის ოკუპაციის 95-ე წლისთავი აღინიშნა. მეც ვიყავი მიწვეული ამ იუბილეზე.

უნიკალურად აღნიშნა იგი ორივე მხარემ:

— სამხრეთ ტიროლდაკარგულმა ავსტრიამ — **გლოვით!**

— სამხრეთ ტიროლის მიმტაცებელმა იტალიამ — **ავსტრიისთვის სამხრეთ ტიროლის წაგლეჯის დამკანონებელი, ფაშისტი დუჩე მუსოლინის სურათებით სააახალწლო კალენდრებზე!**

მე ადრეც ვწერდი ამ თემაზე. იგი ჩემი სულიერი ტკივილია და ადვილად არ მეთმობა, ვინაიდან ჩემთვის ყველა სოფელი, ყველა ხეობა, ეკლესია-მონასტერი და ციხე-კოშკი სამხრეთ ტიროლში ისეთივე ახლობელია, როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!

უამრავი ჩამოსული და ადგილობრივი დაესწრო ბოცენ-ში (იტალიურად — ბოლზანო) სამხრეთ ტიროლის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულთა სულის მოსახსენიებელ წირვას. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო, ვერ შევძელი იქ ჩასვლა, მაგრამ ავსტრიელი მწერლის და ისტორიკოსის როლფ შტეინინგერ-ის წიგნიდან **„სამხრეთ ტიროლი პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე“** (რომელსაც ქართულად ვთარგმნი) გადავწერე ერთი რვა გვერდიანი თავი. მოქმედი პირები და ადგილმდებარეობის სახელები შევცვალე აფხაზეთით და სამაჩაბლოთი, მისალმებელი ორი წინდადება წავუმძღვარე და ასე მივაწვდინე ხმა 95 წლის მანძილზე სამხრეთ ტიროლის თავისუფლებას შეწირულთა (იქ დღესაც გრძელდება ბრძოლა სამხრეთ ტიროლის თავისუფლებისათვის) ჭირისუფლებს!

მოგვიანებით, ჩემი მეგობარი, საქართველოს დიდი ქომაგი და სამხრეთ ტიროლის დიდი პატრიოტი, დოქტორ რაინერ გაისლერ შვარცენბერგი მიყვებოდა: **„წირვაზე მოსული საზოგადოება თვალცრემლიანი უსმენდა ქალბატონ ქრისტინე ფონ შპილმანს, შენგან გამოგზავნილ მიმართვას რომ კითხულობდა... ყველამ საკუთარ ტკივილად აღიქვა ის, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოხდაო!“**

ასე ტყუპისცალივით, წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს: ევროპის შუაგულში, **ავსტრიაში** და შორეულ კავკასიაში, **საქართველოში,** უწყინარი ხალხების თავზე დატეხილი ტრაგედიები, **რომელთა მშველელი არავინაა — არც კავკასიასა და არც ევროპის შუაგულში!**

ორივეგან, ხალხის გასაჭირზე ფული კეთდებოდა მხოლოდ და კეთდება დღესაც!

ერთხელ უკვე მოვუყევი, ჩემს მკითხველს ამის შესახებ, მაგრამ იმედი მაქვს იგი არ მიწყენს, თუ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ნათლად გავიგოთ:

ჩვენი პატრონი, საკუთარი თავის გარდა, არავინ არის დედამიწაზე და ამიტომ ამ თემას ხშირად უნდა მივუბრუნდეთ, ზოგიერთი გონებადაბინდული ჩვენი თანამემამულე რომ გამოვიყვანოთ საღათას ძილიდან!

...ხშირად გვესმის მავანთაგან: **„საქართველომ უნდა იხსნას კაცობრიობა, ჩვენ განუმეორებელი მისია გვაკისრია!“**

დიდებული მოსასმენია, იმედს მაინც გვმატებს, საარსებოს თუ არა! მაგრამ, ზოგჯერ გვავიწყდება: თუ ამხელა პასუხისმგებლობას ვიღებთ დანარჩენი კაცობრიობის წინაშე, მაშინ გვევალება კიდეც, — ჯერ საკუთარი თავი უნდა გადავირჩინოთ **„ჩვენი, ზოგადსაკაცობრიო, მისიონერული ვალის გამო!“**

ერთმა ჩემმა უცხოელმა მეგობარმა, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში, მთავრობის სახლთან გამართული **„ტაშფანდურის“** შემყურემ, დიდი გულისტკივილით და მობოდიშებით მითხრა: **„მხოლოდ სულელების გარემოცვაში შეიძლება კომფორტულად იგრძნოს თავი შეურაცხადმა!.. ქართველები და მათი პრეზიდენტი ამის შესანიშნავი მაგალითიაო!“**

ძნელია უცხო სტუმარს არ დაეთანხმო, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგს არც ეს მოიტანს, თუ კი ქვეყნის მოსახლეობა არ მიხვდა, რა მოელის მას!

შარშან, 2013 წლის თებერვალში, გერმანიაში მორიგი **„ბესტსელერი“** გამოჩნდა წიგნების მაღაზიებში. ავტორი გერმანული წარმოშობის ებრაელი გეორგ ფრიდმანი გახლავთ. მისი წიგნი **„შემდეგი ასი წელი“** ფანტასტიკურად რეალურ ფორმებში წინასწარმეტყველებს დედამიწის მერმისს, მომავალი ასი წლის მანძილზე. წიგნი ინგლისურად დაიწერა და რამდენიმე თვეში მრავალ ენაზე, მათ შორის გერმანულადაც ითარგმნა. მე მას ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ არა ერთი ჩემი გერმანელი მეგობარი, რომელმაც მისახსოვრა იგი და ვრცელი მინაწერიც მოაყოლა მას:

„ძვირფასო დავით.

დარწმუნებული ვარ, წინამდებარე წიგნი, რომელმაც წაკითხვისთანავე ამიწეწა ფიქრები, საინტერესო იქნება შენთვის. თვალწინ გადამეშალა ცოდვილი მსოფლიოს რუქა და ჩემი სამშობლოს — გერმანიის შემდეგ, ფიქრებმა საქართველოში გადამისროლა, მაშინვე შენ გამახსენდი... კიდევ ერთხელ მივუბრუნდი შენთან ერთად, მრავალგზის ნაკამათევ თემებს — "ბაგრატიონების მრავალსაუკუნოვანი დინასტია", "ტრადიცია და მისი უგულვებელყოფა", "უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა გერმანიასა და საქართველოში!"

გამახსენდა, ჩემს ნათქვამზე: გერმანიაში ერთ სულ მოსახლეზე მატება 0,8%-ზე დაბლა ჩამოვიდა!“

შენი კომენტარი: „გერმანელებს გაგიმართლათ, რომ ბავშვები დაბადებისას თავით მოდიან ამ ცოდვილ მიწაზე, თორემ ამიერიდან ყველა გერმანელი უთავოდ დაიბადებოდაო!“

კიდე ერთხელ ვიცინე (ქართულ გამოთქმას ვიხმარ), ამჯერად „სიმწრის სიცილით!“

ერთნაირი ბედი გველის გერმანელებს და ქართველებს მომავალი ასი წლის მანძილზე, მაგრამ, რაც გინდა გასაკვირი იყოს, თქვენ, 5 მილიონიან ქართველებს გაცილებით დიდი შანსი გაქვთ გადარჩენის, ვიდრე ჩვენ, 80 მილიონიან გერმანელებს და იგი შემდეგში მდგომარეობს:

ჩემი სამშობლო გერმანია და გერმანელები, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს სახე მიიღო და ცივილიზაციას ეზიარნენ, მუდამ სხვის დაპყრობაში და სხვისი მიწების შემოერთებაში იყვნენ გართულები. უამრავი პატარა ხალხები და სახელმწიფოები არსებობდნენ გერმანიის ფრთის ქვეშ.

— სუსტი იყო გერმანია, სუსტი და დამშეული იყო მის ფრთის ქვეშ მყოფი ხალხები და სახელმწიფოები!

— ძლიერი იყო გერმანია, ძლიერი და მაძღარი იყო მის ფრთის ქვეშ მყოფი ხალხები და სახელმწიფოები!

გერმანია, სხვებზე ბატონობას იყო მუდამ მიჩვეული და სხვისი ფრთის ქვეშ ვერ მოთავსდება. იგი ამას ვერ აიტანს და მისი გადაშენება გარდაუვალია!

სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე საქართველოს სინამდვილეში. თუ რომელიმე ერზე ითქმის დედამიწის ზურგზე „მათი ისტორია გამუდმებული ომების ისტორიააო!“, ეს პირველ რიგში ქართველებზე ითქმის. ამ მამაცმა ხალხმა გაუძლო დროის გამოცდას და ათასწლეულები გამოიარა დღემდე!

ჩვენ ადრეც არა ერთხელ გვიკამათია ამ საკითხზე, — თუ რამ გააძლებინა საქართველოს მუდმივად სხვადასხვა დამპყრობლის უღელქვეშ.

ყოველთვის მახსოვს სამხრეთ საქართველოში შენს მიერ მოყოლილი და შენთან ერთად ნანახი ისტორიული ძეგლები, რომლებიც ხან მონღოლების, ხან სპარსების, ხანაც თურქების მიერ დაპყრობილ კუთხეში შენდებოდა (საფარის სამონასტრო კომპლექსი მიდგას თვალწინ, ამ სტრიქონებს რომ ვწერ)!.. რა ძალა შეაძლებინებდა იმდროინდელ ქართველობას ამ სასწაულებს?

შენ კარგად იცი ჩემი პასუხი:

— ღრმა რელიგიურობა, ათასწლოვანი ტრადიციების და წეს-ჩვეულებების ერთგულება, სიამაყე, რომ ქართველი ვარ და ქართველად დარჩენის გენეტიკური სურვილი!

მსოფლიოში 500 წელზე მეტხანს არც ერთ დინასტიას არ უარსებია ბაგრატიონების გარდა. მეამაყება, რომ ამ ქვეყანაში და ამ ხალხთან ერთად მომიწია წლების განმვლობაში ცხოვრებამ და მუშაობამ.

თუ ქართველები არ უღალატებენ ათასწლეულების მანძილზე გამოცდილ, ზემოთ ნახსენებ თვისებებს, გერმანელებისგან განსხვავებით 21-ე საუკუნის შუაწლების კატასტროფას გაუძლებენ და რომელიმე დიდი მეზობლის "სახურავის" ქვეშ იარსებებენ; აქამდე მოტანილ, ეროვნულ და კულტურულ სიმდიდრეებსაც წარმატებით განავითარებენ. დარწმუნებული ვარ, ჩემს არასასიამოვნოდ მოსასმენ დასკვნებს, ჩემი უსაყვარლესი ქართველების შეურაცხყოფად არ მიიღებ, — ეს მწარე რეალობაა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერც გერმანელი და ვერც ქართველი ვერ გაექცევა!

ზემოთ ვახსენე, — ჩემი ერი არ არის სხვისი კალთის ქვეშ ყოფნას ჩვეული-მეთქი. სხვები იყვნენ მუდამ მის კალთას შეფარებული. ამიტომ მას ის იმუნიტეტი არ გააჩნია, რაც ქართველობას და დაიღუპება!

ქართველებს პირიქით, — მათ ათასწლეულების მანძილზე გამოუმუშავდათ დამპყრობლებთან ბრძოლის და უკიდურეს შეთხვევაში მათი ფრთის ქვეშ ცხოვრების იმუნიტეტი, ამიტომაც თქვენ გადარჩებით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ კი ზეწოლას გაუძლებთ და არ გაგიქრებათ — ღრმა რელიგიურობა, ათასწლოვანი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ერთგულება, სიამაყე რომ ქართველები ხართ და ქართველად დარჩენის გენეტიკური სურვილი!

ჩემო ძვირფასო დავით, იმედი მაქვს ჩემი წერილი კიდევ უფრო დიდი ინტერესით განგაწყობს წინამდებარე წიგნისადმი და ველოდები შენგან შემოხმიანებას!

პატივისცემით

პროფ. დრ. რ. ფონ არნიმი"

წელიწადი გავიდა ამ წერილის წაკითხვიდან და მას აქამდე ვერ მივუბრუნდი. მიმაჩნდა, რომ ჯერ კიდევ არ არის ისე კატასტროფულად ჩვენი საქმე და მოიძებნება გამოსავალი, მაგრამ ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მარწმუნებს, რომ არათუ ფიქრის დრო გაგვაჩნია, — დიდი ხნის დაგვიანებულია კიდეც და მართლა ღვთის სასწაული თუ არა, ჩვენი გადარჩენის შანსი არ არსებობს!

— გაიხსენეთ, მიშა-შეურაცხადის განცხადებები და ბრძანებები:

„რაც შეიძლება მალე უნდა გავამერიკელდეთ!“, „ინგლისური ენის უცოდინარი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი დიპლომს ვერ მიიღებს!“

დააკვირდით: პროფ.დ-რ. რ. ფონ არნიმის გაფრთხილება, ზემოთხსენებულ **ორ „განცხადება-ბრძანებაშია“ გაცამტვერებული!**

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ გაცილებით ადრე გვემუქრება გადაშენება, ვიდრე გ. ფრიდმანის წიგნში ნახსენები, საშიშროების ზარი ჩამოჰკრავდეს!

დავით ქობალია
598 70 86 00

„შავი სათვალე ეკეთა – ჩეკისტის ჩანაწერები“

პატრიარქს მხოლოდ ერთხელ შეხვდა 2006 წელს და ისიც როდის? ორმოცდაორი წლის შვილის გის დასაფლავებისას.

„პატრიარქი მოვიდა, ღვთისმოსავ, მორწმუნე, ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობის მქადაგებელ გია ფოცხვერიასთან გამოსათხოვებლად, თავისი სურვილით, ღმერთის შთაგონებით და იქ მუხლებში ჩაუვარდა, პატივებასა და ცოდვების მონანიებას შესთხოვდა არა მარტო გაუბედურებული მამა, მშობელი, არამედ უშიშროების მუშაკი, რომელიც თავისი სამსახურეობრივი მოვალეობით იძულებული იყო ოპერატიული მეთვალყურეობა ეწარმოებია მასზე, ეკლესიაზე! რაა ეს, თუ არა ცხოვრების პარადოქსი?! დიახ, და მხოლოდ ღმერთი გვმართავს და წარმართავს ჩვენს ქმედებებს. ერთი, მხოლოდ ერთი რამ დამრჩა სანუგეშო: ისე «ვიმუშავე» ოპერატიულად, რომ ჩემი ქმედებით, არავითარი ზიანი არ მიმიყენებია მართლმადიდებლობისათვის. შინაგანად, ალბათ, თანაუგრძნობდი კიდეც. ამის მოწმე მხოლოდ ღმერთია. სხვა რამ რომ ვთქვა ან დავწერო, არ იქნება დამაჯერებელი, თავის მართლებას დაემსგავსება და თუ სწორს არ ვამბობ, ამაზეც ვაგებ პირადად პასუხს.“ — ამ სიტყვების ავტორი, უშიშროების ყოფილი გენერალ მაიორი ჯემალ ფოცხვერია გახლავთ. იგი, იმ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, რომელსაც რელიგიურ ორგანიზაციებზე კონტროლი ჰქონდა დავალებული. ამ და ბევრი სხვა საინტერესო საკითხის შესახებ გვიყვება თავის წიგნში „შავი სათვალე ეკეთა - ჩეკისტის ჩანაწერები“.

როგორ მოხდა პატრიარქის ილია მეორის არჩევა. რა მონაწილეობას იღებდა ამ პროცესებში უშიშროების სამსახური და კომუნისტური პარტია...წიგნის ავტორი 1966-1995წლებში მუშაობდა სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების სისტემაში. 1991-1995წლებში - რუსეთის ფედერაციის უშიშროების მინისტრის მრჩეველად. მისი გადმოცემით, სამოცდაათიანი წლების შუალედში ქართული ეკლესია გადაშენების გზას ადგა, ქაღალდზე თოთხმეტ ეპარქიად იყო დაყოფილი, სინამდვილეში, მხოლოდ ცამეტი არსებობდა, თუ ამას არსებობა ერქვა. ეპარქიები განიცდიდნენ, როგორც ფინანსურ, ისე საკადრო კრიზისს, ვინაიდან არ იყვნენ დაკომპლექტებულნი საკმაო რაოდენობის მღვდელმსახურებით. ყოველ წელს მცხეთის სასულიერო სემინარიაში შევსება მხოლოდ შვიდ, ათ კაცს შეადგენდა, რადგან პარტიული და უშიშროების ორგანოები ყველა მათთვის ჩვეული «მეთოდებით» ეწინააღმდეგებოდნენ ქართულ ეკლესიაში ახალგაზრდა კადრების მოდინებას. 1921 წლიდან საქართველოში წარმოებულმა ბოლშევიკების პოლიტიკამ თანდათანობით დეგრადაციისა და გადაგვარების პირამდე მიიყვანა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია - ერთ დროს გამაერთიანებელი, ენისა და წეს-ჩვეულებათა ერთადერთი დამცველი ძალა, რამაც შეიძლება ითქვას, ისტორიულად გადაარჩინა ქართველი ერი, მისი ენა და ყოფადობა. ამიტომაც კომუნისტური (ბოლშევიკური) პოლიტიკა ეკლესიის მიმართ ყოველთვის იყო მიზანმიმართული, რათა დაეთრგუნათ ეროვნული სულისკვეთება და მყარი ნიადაგი შეექმნათ საბჭოთა ადამიანის ფორმირებისათვის.

ავტორის გადმოცემით, საქართველოს უშიშროების კომიტეტში თუ სხვადასხვა სახელწოდებით არსებულ უშიშროების ორგანოებში ათეული წლების განმავლობაში (1921-1991 წლები) დაგროვილი მასალები რამდენიმე ათეულ ტომს შეადგენდა.

„როცა ხელი მიმიწვდებოდა, არ დამეზარა და ძირითადი ტომები გადავიკითხე. ახლა მათი გაცნობა შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან არ ვიცი, ავბედით სამოქალაქო ომის დროს უშიშროების კომიტეტის სარდაფებში ამოწვეს თუ 1989 წლიდან დაწყებული - სატვირთო მანქანებით სხვა ოპერატიულ მასალებთან ერთად გაზიდეს გაურკვეველი მიმართულებით, არადა, მიმაჩნია, რომ უშიშროების მასალებს (ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა არ იყოს) არაფერი ეშველება, სამუდამოდ დაკარგულია. ის, რაც არსებობს, თუკი არსებობს, მაინც ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, მისი განადგურებული, გადასხლებული, რეპრესირებული ხალხის ისტორია, რა თქმა უნდა, ბოლშევიკური თვალთახედვით დანახული და აღწერილი, მაგრამ პროფესიონალი მკითხველი და ისტორიკოსი ბევრ საინტერესოს ამოიკითხავს მასში“...

ავტორი გვიამბობს კალისტრატე ცინცაძის ღვაწლის შესახებ, რომლის შორსმჭვრეტელურმა და კომპრომისულმა საეკლესიო პოლიტიკამ, გარკვეულწილად, გადაარჩინა ქრისტიანობა საქართველოში. მიუხედავად იმ პროვოკაციებისა, დევნისა და მეთვალყურეობისა კომუნისტების მხრიდან, რომლის გარემოცვაშიც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, მან ღირსეულად შეასრულა თავისი პატრიოტული მოვალეობა, თავისი განსწავლულობით და გარკვეული დიპლომატიური ნიჭით არაერთი უხეში შემოტევისაგან იხსნა ქართული ეკლესია. ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან, თითქმის სამამულო ომის დაწყებამდე, როდესაც რეპრესიები მძვინვარებდა, მან შეძლო ეკლესიის გადარჩენა. შემდეგ ეფრემ მეორესა და დავით მეხუთეს შედარებით მშვიდობიანობის დროს მოუხდათ მოღვაწეობა. ამ ღირსეულმა ხალხმა თავიანთი კომპრომისებით აღსავსე საეკლესიო პოლიტიკით შეუნარჩუნეს ხალხს რელიგია და ამით გადაარჩინეს ეროვნული სულისკვეთება.

1977 წელს უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს სულიერი მამა დავით მეხუთე მიიცვალა და დადგა საკითხი, ვინ დაიკავებდა მის ადგილს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა მაშინ ამ საკითხის მთლიანობაში აღქმა შეუძლებელი იყო. „არავინ დაიჯერის, რომ მაშინდელი ქართული რელიგიის კულტის მაღალთანამდებობებზე ვინმე ინიშნებოდა (ან აირჩეოდა) კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ავანგარდის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანხმობის გარეშე. ეს პრინციპი უცილობელი იყო გასულის საუკუნის ოციანი წლებიდან საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამდე. რა მოხდებოდა, რომ მაშინ ქართული ეკლესიის სათავეში არ მოსულიყო ან ვერ მოსულიყო სულმნათი ადამიანი, ადამიანი, მისიონერის ფუნქციით, თვით ღმერთისგან მოვლენილი ქართველთათვის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II? არ იფიქროთ, რომ მისი გზა ქართული ეკლესიის სათავისკენ ია-ვარდით იყო მოფენილი. არამც და არამც! დიდი საშიშროება არსებობდა იმისა, რომ ამისათვის ხელი შეეშალათ გარკვეულ, ჩვენთვის უკვე ცნობილ ძალებს (კომპარტიიდან და უშიშროებიდან), ვინაიდან დიდ ძალისხმევას ამ პოსტის დაკავებისათვის იჩენდა მაშინ „მეუფე“ კერატიშვილი, რომელსაც მხარს უჭერდნენ გარკვეული ძალები როგორც კომპარტიაში, ისე უშიშროების სამსახურში. ახლა კი, მას შემდეგ, რაც საზოგადოებისათვის ცნობილია (თუ არ ახსოვთ, მაშინდელ გაზეთებშიც შეუძლიათ გაეცნონ) კერატიშვილის მორალური სახე, მისი ადამიანური გადაგვარების ეტაპები, — გისვამთ კითხვას: რა მოხდებოდა? რა გზით წავიდოდა ქართული ეკლესია, ეს ადამიანი რომ „აერჩიათ“ ამ პოსტზე? დასკვნა, აქ, ერთია. ეს იქნებოდა დამაქცეველი, დამღუპველი არა მარტო ქართული ეკლესიისათვის, არამედ ქართული ეროვნული სულის შენარჩუნების საქმეში. ღმერთი იყო ჩვენი მფარველი და საღმა აზროვნებამ გაიმარჯვა...

საქართველოს პატრიარქად აკურთხეს ილია II, ხოლო კერატიშვილს იქ მიუჩინეს ადგილსამ-

ყოფელი, რომელსაც მისი ბიოგრაფიული წარსული იმსახურებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ „არჩევაში“ ხელი არ შეუშალეს, მაგრამ ბოლომდე მაინც არასოდეს ენდობოდნენ კათოლიკოს-პატრიარქს. მეთვალყურეობა მასზე ყოველთვის ხორციელდებოდა... ყოველ დილას უშიშროების მესვეურებს საშუალება ჰქონდათ,გაცნობოდნენ მისი სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს, მის რეზიდენციაში მიმდინარე საუბრებს და ასე შემდეგ. მოსასმენი აპარატურა არც ისე შორს იყო განლაგებული (ლესელიძის ქუჩაზე განთავსებულ საქართველოს სპორტკომიტეტის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის კაბინეტში, რომელიც ხალხში ღვთისმოსავი ადამიანის ავტორიტეტით სარგებლობდა).

არ ვიცი, ხვდებოდა თუ არა ამას უნეტარესი, მაგრამ ერთი კი იყო, ინფორმაციის ამ წყაროდან უშიშროებას არასოდეს რაიმე საინტერესო ინფორმაცია არ მოუპოვებია. ერთსაც გეტყვით: არასოდეს მიფიქრია, ჩემი პერსონა თავს მომეხვია პატრიარქისათვის, და მომეხსენებია, რომ ვარ თქვენი საკურატოროს უფროსი-მეთქი. არ ვიცი, ეს ნაბიჯი მაშინაც მკრეხელობად მიმაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას ძალიან გულმოდგინედ აკეთებდნენ ჩემი წინამორბედნი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკლესიას ყოველდღიური ყურადღება არ აკლდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა კომიტეტისაგან, რომელსაც მაშინ ბატონი მაისურაძე თავმჯდომარეობდა, ხოლო მისი ღვიძლი ძმა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ მაისურაძე კი მთელ იდეოლოგიურ (მათ შორის ეკლესიასაც) ფრონტს ხელმძღვანელობდა — მაშინ, ალბათ, ადვილი მისახვედრი იქნება, რომ ეკლესია არა მარტო სახელმწიფოს დიდი «მზრუნველობის» საგანს წარმოადგენდა, არამედ თითქმის ერთი ოჯახის «საშინაო» საქმედაც კი იქცა. თუმცა ეს შინაური ურთიერთობა რელიგიის საქმეთა მმართველს მაისურაძეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ერთხელ — ზაფხულში მას სახლში ეწვია ერთი უცხო სტუმარი, დარეკა ბინის ელექტრო-ღილაკზე და მასპინძელმა გაუღო კარები. როგორც გამოძიებამ დაადასტურა, სტუმარი ძალიან ზრდილობიანად შეეკითხა მასპინძელს: «მაპატიეთ, ეს თქვენი ბრძანდებით, ბატონო მაისურაძეო, რელიგიის საქმეთა რწმუნებულიო». მიიღო რა დადებითი პასუხი: «მაპატიეთ, ბატონო, ერთი წუთით შეგაყოვნებთო». ცელოფანის პაკეტიდან ამოიღო ნაჯახი და მასპინძელს მოუქნია. ღმერთმა თუ ფიზიკურმა მომზადებამ, უფრო სწორად ჩეკისტურმა და დიპლომატიურმა ალღომ უშველა და მაისურაძემ აიცილა პირველი დარტყმა. შემდეგ ბინაში შეუვარდა მოძალადე და იქაც ცდადა მისი დაჭრა ან მოკვლა, მაგრამ იმ დღეს ღმერთი მის მხარეს იყო, ფიზიკურად იგი სტუმარზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, განაიარაღა მოძალადე და მილიციას ჩააბარა. სახელმწიფოს არ აწყობდა, რომ თავდამსხმელის ძალადობის მოტივი პოლიტიკური ხასიათისა ყოფილიყო და ამიტომ სერიოზულად არ მიიღეს მისი განცხადება გამოძიების დროს, რომ მისი თავდასხმა განპირობებული იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკით. როგორც ყოველთვის, თავმდამსხმელი გააგზავნეს ე.წ. «ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე», სადაც, რა თქმა უნდა, მორჩილმა ფსიქიატრებმა პატიმარი შეურაცხადად გამოაცხადეს. სასამართლომდე საქმე არ მისულა, ისე გაამწესეს ქართული ეკლესიის «დამცველი» ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიულ კლინიკაში სამკურნალოდ. ქართულმა ეკლესიამ პანაშვიდი გადაიხადა გადარჩენილი ადამიანის საპატივცემულოდ, ხოლო მე დანარჩენ პარტიულ თუ სამეურნეო აქტივთან ერთად (მირითადში ამხ. მაისურაძის მეგობრებთან ერთად) რესტორანში კარგ პურმარილს გეახელით. როგორც წესია, ბატკანი შევწირეთ ამხანაგის გადარჩენას. როდესაც წყდებოდა არა მარტო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ ქართველი ერის შემდგომი არსებობისათვის მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც მოგახსენეთ, დიდი საშიშროება არსებობდა იმის გამო, რომ ერის სულიერ წინამძღოლობას ეპოტინებოდა მორალურად გადაგვარებული პიროვნება კერატიშვილი და არა მარტო კერატიშვილი.

მოამზადა
მარიამ ჯანჯღავამ
511 17 73 72

(გაგრძელება იქნება)

ყველაზე უცნაური სასამართლო სარჩელები

თავისი მმართველობის პერიოდში ჯორჯ ბუშმა აშშ-ის კონგრესისგან მოითხოვა, მიეღოთ ზომები, რათა სასამართლოში აღარ შესულიყო აშკარად სულელური სარჩელები, რომელთა განხილვის გამოც ამერიკის მოსახლეობა იძულებული იყო ყოველწლიურად მილიონობით დოლარი გადაეხადა...

რეკლამის „მსხვერპლი“

ვინმე რიჩარდ ჰარისმა სასამართლოში უჩივლა ლუდსახარშ კომპანიას, რომელიც მის საყვარელ სასმელს ამზადებდა. ჰარისმა განაცხადა, რომ მას გულწრფელად სჯეროდა რეკლამის, რომელშიც საუბარი იყო, რომ ლუდის გამოყენების შემდეგ იგი გახდებოდა ჭკვიანი, ლამაზი, წარმატებული და ქალებსაც ეყვარებოდათ, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა: რაც მეტ ლუდს სვამდა, უფრო ცუდად გრძნობდა თავს, ქალები კი მის მხარეს აღარც კი იყურებოდნენ. მორალური ზარალის ასანაზღაურებლად ჰარისმა 10 ათასი დოლარი მოითხოვა. სასამართლომ ეს სარჩელი არც კი განიხილა.

მაგრამ გაუაზრებელი რეკლამის მსხვერპლი ზოგჯერ გამარჯვებასაც აღწევს. მაგალითად, ვინმე ტომ სტეინს შუშის კომპანიამ უჩივლა. აღმოჩნდა, რომ ფირმამ მას კრედიტით უკვე ერთი წლის წინ ახალი ფანჯრები დაუმზადა თავისი შუშებით, მან კი საფასური არ გადაიხადა. ტომმა პასუხად განაცხადა, რომ ყველაფერი ასეც იყო, ერთი „მაგრამის“ გარდა. ფირმის წარმომადგენელმა მოწმეების თანდასწრებით განაცხადა, რომ ერთი წლის შემდეგ ეს „შუშები თვითონ გადაიხდიან თავის საფასურს!“ ეშმაკი კლიენტი ელოდა, აგენტის დანაპირები როდის შესრულდებოდა.

სასამართლომ სტეინის სიმართლე აღიარა და ფირმა იძულებული გახდა, ჩამოეწერა გაწეული სამუშაო.

დიდი ხმაური მოჰყვა დების: ჯენის, დეილისა და კიმ ბირდების საქმეს. მათი დედა ნატალი კალიფორნიის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მოათავსეს გამოკვლევებისთვის. გოგონებმა გასინჯვის დროს პალატაში ყოფნა ითხოვეს და გულჩვილმა ექიმებმა ამის ნება დართეს. უცბად, ქალი ცუდად გახდა და იგი რეანიმაციაში გადაიყვანეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, წინდახედულმა დებმა ჰოსპიტალს უჩივლეს. მათ განაცხადეს, რომ ექიმებმა მათ აუნაზღაურებელი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენეს. სასამართლომ სარჩელი არ განიხილა.

მოხუცი ქალბატონი „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ

ეს ამბავი 1992 წლის თებერვალში დაიწყო, როცა ვინმე სტელა ლიბეკმა, მანამდე უცნობმა ნიუ-მექსიკოში მცხოვრებმა ქალბატონმა ფეხზე ყავა გადაისხა, რომელიც გზისპირა „მაკდონალდსში“ შეიძინა.

შვილიშვილმა საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც რვა დღე გაატარა. გამოსვლისთანავე ქალმა სასაუზმისგან მკურნალობისთვის კომპენსაცია — 20 ათასი დოლარი მოითხოვა. კომპანიამ 800 დოლარი შესთავაზა, რის საპასუხოდ განრისხებულმა სტელამ სასამართლოში იჩივლა.

ორი წლის სასამართლო გარჩევების შემდეგ მსაჯულებმა უნიკალური ვერდიქტი გამოიტანეს: კომპანიას დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ 200 ათასი დოლარის გადახდა, ხოლო ჯარიმის სახით კიდევ ორი მილიონ ცხრაასი ათასი აშშ-ის დოლარი. 1994 წლის დეკემბერში კომპანიამ აპელაცია შეიტანა და ლიბეკის ადვოკატები გარკვეულ ფულად კომპრომისზე წავიდნენ, რომლის რაოდენობა არ გახმიანებულა. მაგრამ პრეცედენტი უკვე არსებობდა და ამერიკელებმა ფულის შოვნის ახალი გზა აღმოაჩინეს.

სასამართლო სარჩელები იმდენად გულუბრყვილო და თავზედური იყო და თანაც იმდენად ბევრი, რომ ამერიკის ინტელექტუალურ წრეებში სიმბოლური „პრემიაც“ დააწესეს, რომელსაც სტელა ლიბეკის სახელი ეწოდა.

აი, ზოგიერთი ღირსეული მაგალითი, რომლებიც ამ „პრემიას“ იმსახურებენ.

კანონი ქურდების მხარესაა

თუმცა წინდახედულ მოსარჩელეებს შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც ერთი შეხედვით უიმედო საქმეც კი მოიგეს. მაგალითად, ვინმე კარლ თრუმენმა 74 ათასი დოლარი მოუგო სასამართლოს გზით მეზობელს, რომლის გაძარცვასაც თავად აპირებდა. მეზობელი საკუთარი მანქანის საჭესთან იჯდა, მაგრამ კარლმა ის ვერ შენიშნა და ბორბლებიდან დეკორატიული ხუფის მოხსნა დააპირა. როცა მანქანა დაიძრა, ქურდის ხელი ბორბლის ქვეშ აღმოჩნდა, რაც სარჩელის საბაბი გახდა.

კიდევ ერთმა ქურდმა, ტერენს დიქსონმა, რომელმაც სახლი გაქურდა, დააპირა გარაჟიდან გამოსვლა, მაგრამ კარი ვერ გააღო. მძარცველი კვლავ სახლში დაბრუნდა, მაგრამ კარი გაჯახუნდა და ვერაფერი გააწყო. გარაჟში ძაღლის საკვები და წყალი აღმოჩნდა. ქურდი ერთი კვირა გარაჟში იმყოფებოდა სახლის პატრონების დაბრუნებამდე. თავისუფლებაზე აღმოჩენილმა ქურდმა სახლის პატრონებს უჩივლა და ცხოვრებისგან დატანჯული ქურდის სასარგებლოდ „კეთილმა“ მსაჯულებმა მოპასუხეს დიდი თანხის გადახდა დააკისრეს.

ვინმე კარა უოლტონმა გადაწყვიტა ფული არ გადაეხადა და კარის მაგივრად ფანჯრიდან მოინდომა იმ ღამის კლუბის დატოვება, სადაც დროს ატარებდა. საკმაოდ ნასვამი ქალბატონი ფანჯრიდან გადავარდა და ორი წინა კბილი მოიტეხა. მსაჯულების უცნაური გადაწყვეტილების გამო, კლუბის მფლობელებს აენაზღაურებინათ კარას დანტისტთან მკურნალობის საფასური, არამედ დაუმატეს „წამახალისებელი“ თანხა — 12 ათასი დოლარი.

ასი ათას დოლარზე ცოტა მეტი იშოვა ფილადელფიის ერთ-ერთ რესტორანში ახალგაზრდა ისტერიკიანმა გოგონამ ემბერ კარსონმა. იგი შეყვარებულს ეჩხუბა და კოქტეილიანი ჭიქა ესროლა სახეში, ცოტა ხნის შემდეგ კი თავადვე დაუცურდა ფეხი მის მიერ დაქცეულ სითხეზე და კუდუსუნის ძვალი მოიტეხა. სასამართლომ რესტორნის მფლობელს ახალგაზრდა ლედის მკურნალობის ხარჯების დაფარვა დააკისრა.

კეტლინ რობერტსონმა სასამართლოს მიმართა მაღაზიის წინააღმდეგ და მას 750 ათასი დოლარი მოუგო. კეტლინი საკუთარ შვილს დაეჯახა, რომელიც თაროსთან იდგა, წაიქცა და ბარძაყის ძვალი მოიტეხა, დამნაშავე კი მაღაზია აღმოჩნდა.

ორიგინალური სარჩელი შეიტანა სასამართლოში 2006 წელს ალენ რეი ჰეკარდმა. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობილ კალათბურთელზე მაიკლ ჯორდანზე ბევრად დაბალი და მსუბუქია და მასზე რვა წლით უფროსია, იგი ძალიან ჰგავს მას. ეს მსგავსება „ხშირად აგდებს უხერხულობაში“, ამიტომ იმსახურებს კომპენსაციას 52 მლნ. დოლარის ოდენობით და 364 მლნ. დოლარს „ყოველდღიური ტანჯვისა და მორალური ზარალის გამო“. იგივე თანხა უნდა გადაუხადოს მას ფირმა „ნაიკმაც“, რომლის რეკლამაშიც ჯორდანი გადაიღეს. სულ სარჩელის თანხა შეადგენდა 732 მლნ. დოლარს! ეს სარჩელი არ განიხილეს, რაც საკვირველია, ამერიკელების სხვა აბსურდულს განცხადებებს ხომ სასამართლოებში აკმაყოფილებენ ხოლმე.

ბრძოლა გამოვუცხადოთ ტექნოლოგიებს!

კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა მონიკას მმართველებმა, რომლებიც ავტომობილების მფლობელებისთვის ყველანაირი პირობების შექმნის მიზნით ავტოსადგომებზე უსადენო **wi-fi** გაიყვანეს. მიდი მრიცხველთან, ჩადე ბარათი ჭრილში და... ისარგებლე. მაგრამ შორს ნუ წახვალ, რადგან ინტერნეტ-გადამცემი მხოლოდ რამდენიმე მეტრზე მოქმედებს.

იმის მაგივრად, რომ ქალაქის ხელისუფლებისთვის მადლობა ეთქვა, სანტა მონიკას მცხოვრებმა დენიზ ბარტონმა ქალაქს სასამართლოში უჩივლა და განაცხადა, რომ ავტოსადგომებზე უსადენო ინტერნეტ-ქსელი მის ყურებში ხმაურს, კისრის შეშუპებას და კიდევ რამდენიმე დაავადებას იწვევს. საკუთარი ტანჯვა დენიზმა 1,7 მლრდ დოლარად შეაფასა ერთდროული კომპენსაციის სახით და ყოველთვიურად კიდევ 1,7 მლნ დოლარის გადახდა მოითხოვა.

დენიზის ადვოკატი დარწმუნებულია, რომ სასამართლო მათ სასარგებლოდ დასრულდება.



იმპერატორ ცი შიხუანდის ტერაკოტის არმია

ზოგიერთი არქეოლოგიური აღმოჩენა ისტორიის სვლას ძირეულად ცვლის. სწორედ ამიტომ, ისტორიკოსები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ასეთ აღმოჩენებს.

ჩინეთის ტერაკოტის არმია

მე-20 ს-ის 70-იან წლებში ჩინეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს იმპერატორ ცინ შიხუანდის თიხისგან დამზადებული ტერაკოტის არმია, რომელიც სენსაციად იქცა და მსოფლიოს მერვე საოცრებადაც კი აღიარეს.

დღეისათვის ტერაკოტის არმია, ჩინეთის დიდ კედელთან ერთად, ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ღირსშესანიშნაობაა.

იმპერატორ ცინ შიხუანდის არმია

1974 წელს ქალაქ სიანის მადლობლად იპოვეს თიხისგან შესრულებული ტერაკოტის არმია, რომელიც იმპერატორის აკლდამის გვერდით იყო განლაგებული და ძველი ჩინელების რწმენით, იმპერატორი უნდა დაეცვა მიღმიერ სამყაროში.

საინტერესოა, რომ არმია 8100 თიხის ჯარისკაცისგან და ცხენისგან შედგება. ამ ქანდაკებების გარდა, ნაპოვნია ბრინჯაოსგან დამზადებული ათასობით სხვადასხვა სახის იარაღი.

თიხის არმია იმპერატორ ცინ შიხუანდისთან ერთად ჩ.წ. აღმდე 210 წელს დაკრძალეს. ამ თიხის ფიგურების გარდა, ნაპოვნია 70 000 მუშისა და მათი ოჯახის წევრების, ასევე იმპერატორის 48 ხარჭის სხეულის ნარჩენები. ექსპერტების დასკვნით, ისინი ცოცხლად დამარხეს, რათა არმიის დამზადების საიდუმლო არ გაეცათ.

არმიის შექმნა

ტერაკოტის ქანდაკებები ჩინეთის ცინის დინასტიის პირველ იმპერატორთან ცინ შიხუანდისთან ერთად დამარხეს, რომელმაც ჩინეთი და ჩინეთის კედლის ყველა რგოლი გააერთიანა.

ისტორიკოსის ცნობით, ტახტზე ასვლიდან (246 წ. ჩვ.წ. აღ-მდე) ერთი წლის შემდეგ, 13 წლის იმპერატორმ, ა დაიწყო თავისი აკლდამის აგება.

მისი ჩანაფიქრით, ქანდაკებები იმქვეყნადაც მასთან უნდა ყოფილიყვნენ და მისი ამბიციები დაეკმაყოფილებინათ.

მავზოლეუმს 770 ათასი ადამიანი აგებდა 38 წლის განმავლობაში. თუმცა, ტრადიციისგან განსხვავებით, ცოცხლების ნაცვლად, იმპერატორთან ერთად თიხის ჯარისკაცები დამარხეს, ზოგიერთი მონაცემით, მას თან მაინც ჩააყოლეს 70 ათასი მუშა ოჯახის წევრებთან ერთად.

ძირითადი ცნობები

ქანდაკებები 1974 წელს აღმოაჩინეს ადგილობრივმა გლეხებმა ლიშანის მთის აღმოსავლეთით, რომლებიც ჭაბურღილს ბურღავდნენ. ეს მთა ცინის დინასტიის პირველი იმპერატორისთვის ადამიანის მიერ შექმნილი ნეკროპოლია. სწორედ ამ მთიდან იღებდნენ ქანდაკებებისთვის საჭირო მასალას.

გათხრები 1978–1984 ხდა 1986–5–1986 წლებში მიმდინარეობდა, 2009 წელს კი მესამე ეტაპი დაიწყო.

თიხის ჯარისკაცები იმპერატორის აკლდამიდან 1,5, კმ-ის დაშორებით პარალელურ აკლდამებშია განლაგებული. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქანდაკება უნიკალურია, თითოეულ ფიგურას საკუთარი ფორმა, ეკიპირება და სახე გააჩნია. ჯარისკაცებს შორის არიან რიგითები, მეისრეები, კავალერისტები და მთავარსარდლები. შედარებით შორს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მუსიკოსების, აკრობატებისა და სახელმწიფო მოხელეების ქანდაკებები.

ჩინელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ფოგურების უმრავლესობა და ეტლები თიხისგან არის დამზადებული, ზოგიერთი ჯარისკაცის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა — ცნობილი არ არის, საიდან ჩამოიტანეს ისინი, თითოეული მათგანი ხომ 130 კგ-ს იწონის.

მეცნიერები დღემდე იმტვრევენ თავს იმაზე, როგორ ხდებოდა ფიგურების გამოწვა, რადგან ახლო-მახლო ღუმელები ვერ აღმოაჩინეს. ამასთან, თითოეული ფიგურა დაფარულია მინანქრითა და საღებავით.





უცნაურია, მაგრამ ფაქტია

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო გამოცანა: 2000 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი რატომ არ დაბლაგვდა და გაუფერულდა იარაღი? ექსპერტიზამ უჩვენა, რომ ლითონის შემადგენლობაში, რომლისგანაც მეტალის ნივთებია დამზადებული, შედის ქრომი. მაგრამ როგორ? მისი გამოყენება ხომ მხოლოდ მე-20 ს-ში დაიწყეს? ნუთუ ძველი ჩინელები უმაღლეს ტექნოლოგიებს ფლობდნენ? თითოეული იარაღი ხომ უმაღლეს დონეზეა დამზადებული?

საოცარია მავზოლეუმთან ნაპოვნი 2 ცალი ბრინჯაოს ეტლი. მათში შებმულია ოთხ-ოთხი ცალი არაჩვეულებრივი ცხენი, რომლებიც იმქვეყნიურ სამყაროში მოგზაურობისთვის იყო განკუთვნილი. თითოეული ეტლი 3 000 ელემენტზე მეტისგან არის დამზადებული, რომლებიც ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. ბრინჯაოს გარდა, დეტალები დამზადებულია ვერცხლისა და ოქროსგან.

იმპერატორის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში მის აკლდამაში ხანძარი გაჩნდა და აკლდამა გაძარცვეს კიდეც. უძველესი ცნობებით, იქ დიდი რაოდენობით სამკაულები, მონეტები და სხვა ძვირფასეულობა იყო.

ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ იმპერატორ ცინ შიხუანდი ამ აკლდამაში კი არა, სულ სხვაგან არის დაკრძალული.

პოპულარობა და მნიშვნელობა

1987 წელს იუნესკოს სესიაზე ტერაკოტის არმია შეიტანეს მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობაში. ჩინურ ობიექტებს შორის ეს პირველი არტეფაქტია, რომელიც ამ სიაში მოხვდა.

მის სანახავად მისულები იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტები რონალდ რეიგანი და ბილ კლინტონი ოჯახებით, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეთ II პრინც ფილიპესთან ერთად.

ტერაკოტას არმია დღეს

დღეისათვის გათხრები შეჩერებულია, რადგან ლეგენდის თანახმად, იმქვეყნიურ სამყაროში იმპერატორს ვერცხლისწყლის მდინარეები უნდა ახლდეს თან.

ყოველი შემთხვევისთვის, მეცნიერებმა გადაწყვიტეს ამ ვერსიის შემოწმება, რათა თავიდან აეცილებინათ უსიამოვნებები.



„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თიანეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი, პარლამენტარი თამაზ მეჭიაური და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.



„დრო მიდისო, ამბობენ და ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო!“, — უთქვამს პოეტს, მაგრამ, ვაგლახ, რომ დროს ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი და პირნათელი ადამიანებიც მიჰყვებიან.

ჯემალ ჯოლოხავა გარდაიცვალა და გადავიდა მარადისობაში, სადაცა მართალნი განისვენებენ, წავიდა და თან წაიღო დარდი და აუხდენელი ოცნება ეროვნულ საქართველოზე. ქვეყანას მოაკლდა კიდევ ერთი გულანთებული კაცი უზომოდ შეყვარებული თავის ხალხზე და ქვეყანაზე. ასკეტობამდე მკაცრი და პატიოსანი, უშიშარი და უტეხი, შეუპოვარი და მებრძოლი, როცა საქმე ეროვნული იდეალების დაცვას და პატიოსნებას ეხებოდა, კაცი, რომელსაც ეროვნული მოძრაობა უყვარდა და არა საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაში, ამიტომ უპრეტენზიოდ იცხოვრა, ბოლომდე შეინარჩუნა ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება...

ასეთი იყო ბატონი ჯემალ ჯოლოხავა. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული!

მეგობრების ჯგუფი

საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69

— მსურს, შევიცვალო გვარი. მაქვს თუ არა, ამის უფლება და რა პროცედურები მექნება გასავლელი?

— გვარის შეცვლის უფლება გაქვთ. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოში სახელისა ან/და გვარის შეცვლის უფლება აქვს:

1.საქართველოს მოქალაქეს;

2.საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში (გარდა დაბადების ხელახალი რეგისტრაციისა);

დაინტერესებულმა პირმა სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს

1.იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

2.სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

3.საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებას.

აქვე, მოგახსენებთ სახელის შეცვლის შესახებაც:

სახელის შეცვლა შესაძლებელია დაინტერესებული პირის სურვილისამებრ.

სრულწლოვან პირს უფლება აქვს შეიცვალოს სახელი მხოლოდ ერთხელ.

სახელის შეცვლა დაუშვებელია, თუ განმცხადებელი სახელად ირჩევს ციფრებს, სასვენ ნიშნებს, გეომეტრიულ ფიგურებს, გრაფიკულ გამოსახულებებს, სიმბოლოებს, უცენზურო ან შეურაცხმყოფელ სიტყვებს ან მრავალწევრიან (ორზე მეტი სახელისაგან შემდგარ) სახელს.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი გვარის შეცვლა?

პირს შეუძლია შეიცვალოს გვარი და მიიღოს:

მშობელთა შეერთებული გვარი;

პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი (მეოთხე თაობის ჩათვლით);

საკუთარი გვარისა და პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარის გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი;

ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;

მშვილებლის გვარი;

ქორწინებამდელი გვარი, თუ ქორწინების შეწყვეტისას მას არ დაუბრუნებია ეს გვარი;

სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მინიჭებული გვარი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაბადების აქტი რეგისტრირებულია საქართველოში და სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ პირისთვის სხვა გვარის მინიჭების შემდეგ მან საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა.

ასევე, დაინტერესებულ პირს შეუძლია:

აღიდგინოს ისტორიული გვარი;

მოახდინოს მისი გვარის კანონიერად აღიარება;

დაიდგინოს გვარი.

სახელის ან/და გვარის შეცვლის თაობაზე შეუძლია მიმართოს:

სრულწლოვანმა პირმა;

16 წლამდე არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენელმა;

16 წელს მიღწეული პირი ვალდებულია სახელის ან/და გვარის შეცვლის; გვარის დადგენის; გვარის კანონიერად აღიარების მოთხოვნით პირადად მიმართოს სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას;

შესაბამისი წარმომადგენლობის უფლების მქონე (მინდობილმა) პირმა, თუ დაინტერესებულ პირს არრ შეუძლია გადაადგილება მძიმე ავადმყოფობის ან ფიზიკური მდგომარეობის გამო, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით/დოკუმენტით.

გასათვალისწინებელია, რომ გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შესახებ განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული, თუ, შეტყობინების მიღების მიუხედავად, დაინტერესებული პირი არ გამოცხადდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისათვის.

სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტებია:

განცხადება სახელის ან/და გვარის შეცვლის თაობაზე;

პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

დაბადების მოწმობა;

ქორწინების მოწმობა (ქორწინებაში ყოფნის შემთხვევაში);

არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები (თუ არასრულწლოვანი შვილები გყავთ);

მშობელთა წერილობითი თანხმობა (თუ 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ხართ);

მეორე მშობლის თანხმობა, თუ სახელს ან/და გვარს იცვლის 16 წლამდე არასრულწლოვანი

არასრულწლოვნის თანხმობა, თუ სახელს ან/და გვარს იცვლის 10 წლის ასაკს მიღწეული პირი

გვარის შეცვლის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია ხორციელდება მინდობილი პირის დახმარებით, დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტებია:

მინდობილობა (დამოწმებული სათანადო წესით)

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი

ცნობა რომლითაც დასტურდება, რომ დაინტერესებულ პირს მძიმე ავადმყოფობის ან ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია გადაადგილება.

სახელის ან/და გვარის შეცვლა ხორციელდება განცხადების წარდგენიდან მე-60 კალენდარულ დღეს.

მომსახურების საფასურია –55 ლარი;

დაუშვებელია სახელის ან/და გვარის შეცვლა დაჩქარებული წესით.

საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

1.იძულებით გადაადგილებული, დევნილად ცნობილი პირები

2.მომსახურების საფასურის 10%-ით გადახდისაგან თავისუფლდებიან სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“.

პირის სახელის ან/და გვარის შეცვლა, გვარის დადგენა, გვარის კანონიერად აღიარება დაუშვებელია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობის შემთხვევაში:

თუ ეს პირი დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და იძებნება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

განხორციელდა დაინტერესებული პირის დეპორტაცია ან რეადმისია საქართველოში და დეპორტაციის/რეადმისიის განხორციელებიდან 5 წელი არ გასულა;

დაინტერესებული პირის წინაღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, თუ ეს პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ, ამ გარემოების აღმოფხვრამდე.

16 წელს მიღწეული პირის განცხადება სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახურისთვის ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის ან საკონსულო დაწესებულებისთვის დაინტერესებულ პირს უშუალოდ არ წარუდგენია და მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი შეღავათი;

* * *

— ყველაფერი მაინტერესებს განქორწინების რეგისტრაციის შესახებ.

განქორწინების რეგისტრაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას;

მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციისთვის, უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტებია:

განსაქორწინებელ პირთა ერთობლივი წერილობითი განცხადება;

განსაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ქორწინების მოწმობა;

ერთ-ერთი მეუღლის მიერ განქორწინების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ განცხადებას, საფუძვლის გათვალისწინებით, ასევე უნდა დაერთოს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დოკუმენტი:

განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

მეორე მეუღლის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (თუ აღნიშნული პირი 2015 წლის 1 აპრილამდე ცნობილია ქმედუუნარო პირად);

მეორე მეუღლისათვის არანაკლებ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი;

შენიშვნა: თუ განცხადებას წარადგენს განქორწინების მსურველი პირის წარმომადგენელი, აღნიშნულ დოკუმენტებს ასევე უნდა დაერთოს წარმომადგენლის პირადობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარმოდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

ასევე აუცილებელია, სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამოწმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

განქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს წარმომადგენლის საშუალებით, შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა;

მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის გასვლისთანავე.

განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისათვის მომსახურების საფასური წარმოადგენს 45 ლარს.

განქორწინების რეგისტრაციისთვის დადგენილი საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან:

იძულებით გადაადგილებული, დევნილად ცნობილი პირები — სრულად;

სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“ — 10%-იანი შეღავათით.

* * *

— ითვლება თუ არა დაუბადებელი ბავშვი მემკვიდრედ?

— დიახ, ითვლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

რეპროდუქტოლოგია უპირველეს ყოვლისა!

საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანას ჰყვანან ადამიანები, რომელთა მთელი მოღვაწეობა ხალხის სიყვარულსა და კეთილდღეობას ეძღვნება.

ერთ-ერთი ასეთ ადამიანი გახლავთ არჩილ ხომასურიძე — საქართველოში რეპროდუქტოლოგიის ფუძემდებელი და არა მხოლოდ რეპროდუქტოლოგიის, არამედ სამედიცინო გინეკოლოგიის მრავალი ნოვაციის ავტორი და განმახორციელებელი საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

2022 წლის 11 თებერვალს არჩილ ხომასურიძეს 80 წელი შეუსრულდა.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ ბატონ არჩილს იუბილეს — პატიოსნებით, ღირსებითა და ერთგულებით სავსე, უბადლო რეპუტაციის და ხალხის სიყვარულით გარემოცულ ღვაწლმოსილ მეცნიერსა და დარგის მკვლევარს.

კიდევ მრავალ წელს იდექით სიცოცხლის სადარაჯოზე, ბატონო არჩილ, „საერთო გაზეთი“ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას გისურვებთ.

აქვე გთავაზობთ ნაწყვეტს არჩილ ხომასურიძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან „ჩემი გზა“, რომელსაც მალე იხილავს ქართველი მკითხველი.

1996 წელს გადავწყვიტე დამეწყო ბრძოლა საქართველოში მეანობა-გინეკოლოგიისაგან რეპროდუქტოლოგიის გამოსაყოფად და იმ წელიწადსვე შევიტანე განაცხადი მინისტრთა საბჭოში. დამეთანხმნენ. ახლაც არ ვიცი, როგორ გამოვიდა ეს თანხმობა ასე ადვილად, და მოხდა ისე, რომ

საქართველოში პირველად მსოფლიო მედიცინის ისტორიაში რეპროდუქტოლოგია ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად. დღეს რეპროდუქტოლოგია უკვე გახდა ტურბულენტურად განვითარებადი დისციპლინა თანამედროვე მედიცინაში და მიხარია, რომ მე ვარ ამ საქმის მოთავე და ინიციატორი.

რა ომი მომიხდა რეტროგრადებთან ამის გამო, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ მოხდა ისე, რომ რეპროდუქტოლოგია დღეს გინეკოლოგიის დამოუკიდებელი მიმართულებაა.

მჯერა, რომ რეპროდუქტოლოგიის გამოცალკევებაში მალე სხვა ქვეყნებიც მოგვბაძავენ, მაგრამ ჩვენ ვიქნებით პირველები, რომლებიც მივედით იმ დასკვნამდე, რომ გინეკოლოგიას უნდა გამოეყოს რეპროდუქტოლოგია, რადგან ეს არის სხვა, მრავალფუნქციური და უმნიშვნელოვანესი განხრა, რომლის ცალკე კვლევის და დაკვირვების საგანია არა მხოლოდ ქალი, არამედ მამაკაციც.

ნოვატორული ბუნება მაქვს, სიახლეებს ყოველთვის მივესალმებოდი და დღესაც, ამ ასაკშიც არ მეშინია ყველაზე თამამი სიახლისაც კი ჩემს პროფესიაში.

იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მივაღწიე რეპროდუქტოლოგიის გინეკოლოგიისგან ცალკე დისციპლინად გამოყოფას, მისი საბოლოო ლეგალიზაცია 2020 წელს მოხდა და გამოიკვეთა ამ დისციპლინის ძირითადი კომპეტენციები.

თავიდან ობივატელები მეუბნებოდნენ: რატომ უნდა გამოეყოს რეპროდუქტოლოგია, მით უფრო, რომ მსოფლიოში ასეთი რამ არ არის აპრობირებული?! კი, მაგრამ, რატომ ვბაძავთ ყველაფერში დანარჩენ მსოფლიოს. ხომ შეიძლება საქართველო იყოს რაღაც კარგში პირველი?! ჩვენ ვაჩვენოთ მსოფლიოს საუკეთესო ნოვატორული მაგალითები. ასე რომ არ ყოფილიყო, არც იოსებ ჟორდანია დააარსებდა რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტს საქართველოში, რომელსაც იმხანად ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეწოდებოდა. 21 წლის განმავლობაში, ამ მხრივ, საქართველო იყო პირველი და ეს იყო მაშინ საკმაოდ პროგრესული ნაბიჯი.

რეპროდუქტოლოგიის გამოცალკევებისთვის ბრძოლაში, რომელიც თავისთავად გულისხმობს ამ დისციპლინის მეტ პრიორიტეტულობას მედიცინაში, არ ვიყავი მარტო. კვლავ გავიმეორებ — მხარში მედგნენ და შეძლებისდაგვარად მეხმარებოდნენ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლები, ჩემი კოლეგები და მეგობრები: ჯენარო ქრისტესაშვილი, რამაზ ჩარქიშვილი, ლალი ფხალაძე, თემურ გაგნიძე.



დღეს, სამწუხაროდ, ჩემი მოწაფეების ნაწილი, მხოლოდ პირადი ინტერესების სასარგებლოდ იყენებს რეპროდუქტოლოგიის სახელს, მათი უმეტესობა არასდროს დამხმარებია კრიტიკულ მომენტებში დარგის დასაცავად. ზოგიერთი მხოლოდ საკუთარი თავის და კლინიკის პიარით არის დაკავებული. მაგრამ აღარ გავაგრძელებ ამაზე.

დღეს, ამ ასაკში, რამდენადმე მეუხერხულება ჩემს თავზე ლაპარაკი და ვფიქრობ, ეს ჩემს მოწაფეებს უნდა გაეკეთებინათ, რომლებმაც ყველაფერი მიიღეს ჩემგან, ბევრმა ცხოვრება მოიწყო რეპროდუქტოლოგიის ხარჯზე — კლინიკები დააარსეს, იყიდეს, გაყიდეს. ბევრი მათგანი საზღვარგარეთ ჩემი რეკომენდაციით და დახმარებით გავაგზავნე. ისინი, სამწუხაროდ, იქ დარჩნენ, იქ გააგრძელეს მუშაობა, იმის ნაცვლად, რომ ქვეყნისთვის მოეხმარებინათ თავიანთი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება... ამას, რა თქმა უნდა, არ ვნანობ, მაგრამ მწყინს, რომ ზოგიერთს მადლიერების გრძნობა არ გააჩნია. არადა, ჩემი პროფესიის პარალელურად, მოღვაწეობის მთავარ მიზნად, ყოველთვის მქონდა დასახული მომავალი თაობების აღზრდა. ერთი ტელევიზიის პრაიმ-შოუში ჩვენს აღზრდილებს უთქვამთ, წარმატებულად მიმდინარეობს ჩვენი პროფესიული საქმიანობაო, თუმცა არც ერთხელ არ უხსენებიათ ჟორდანიას ინსტიტუტი, სადაც აღიზარდნენ. გული მწყდება ამაზე. დასანანია, უბრალოდ, და ნაღველს მგვრის ხოლმე ასეთი რამეები...

ხანდახან მეკითხებიან: ხელახლა რომ დაიწყოს სიცოცხლე, რას შეცვლიდიო?! პროფესიაში არაფერს. ყველაფერს, აბსოლუტურად, იგივეს გავიკეთებდი. პროფესიის არჩევიდან დაწყებული, რეპროდუქტოლოგიით დამთავრებული.

დიახ, რეპროდუქტოლოგიის ფუძემდებელი მსოფლიოში არის იოსებ ჟორდანია. მისი ინსტიტუტის ძირითადი მიმართულება იყო არა მარტო უშვილობის პრევენცია, არამედ შობადობის რეგულაცია და ეს საკითხი მსოფლიოში დღემდე ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. ახლა ბევრს ჰგონია, რომ რეპროდუქტოლოგია, რომელსაც შვილივით ველოლიავები, არის განხორციელებული და მორჩა, მას ბევრი არაფერი სჭირდება. სინამდვილეში კი ასე არაა. რეპროდუქტოლოგია მუდმივად განვითარებადია, ბოლომდე შეუსწავლელი და მუდმივად მომავლის პროფესია.

რეპროდუქტოლოგია ჩემი შვილობილია, როგორც შვილი, ისე გამოვზარდე, ასე გამოვიდა ჩემს ცხოვრებაში და თავს დავდებ, რომ ის იყოს კარგად.

ნომრის რედაქტორი: ირანდა კალანდაძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99